ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 2 ივნისი 2007 №124 (3047) ფასი 50 თეთრი




# აქ დღეს საქართველომ უნდა ითამაშოს!

## ტოპმიოლერის უსიტყვო სიტყვა: არაფერი, მოგების გარდა

AFP








კობა ინასარიძე კაუნასიდან


კაუნასის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „კაუნასის“ წინ ხუთჯვრიანი დროშაა გამოფენილი, გაძლიერებულია დაცვა, აქტიურობენ ფოტორეპორტიორები, ისმის ქომაგთა შეძახილები — წუთიც და, ამ სასტუმროს საქართველოს ნაკრები მოადგა. ავტობუსიდან პირველი, ცხადია, ეროვნული გუნდის მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ჩამოვიდა და მაშინვე მასპინძელთა ალყაში მოექცა. მწვრთნელი ცნობისმოყვარეთაგან მალევე გათავისუფლდა, მას კი უკან მისივე ამალა მოჰყვა — სამედიცინო შტაბი, ნაკრების ხელმძღვანელები, ფეხბურთელები და სულ ბოლოს თანაშემწე რალფ მინგე.

ჩვენები ფრანკფურტიდან, სადაც სამდღიან შეკრებაზე იყვნენ, კაუნასში გუშინ 16 საათისთვის ჩარტერული რეისით ჩამოფრინდნენ და სასტუმრომდე ლიტვაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა მიაცილეს.

ფრანკფურტში გუნდს დაშორდა ტრავმირებული მეკარე ნუკრი რევიშვილი, შეკრებაზე მყოფი სხვა ფეხბურთელები კი აქ არიან, მათ შორის, ნაკრების 17 წლის დებიუტანტი ლევან მჭედლიძეც, ვინც უკვე იტალიური „ემპოლის“ სრულუფლებიანი ფეხბურთელია — სერია A-ში მეორე კაცი გვყავს.

ლიტვასთან კი ეს ტანმაღალი ფორვარდი ტრამის გამო ვერ ითამაშებს და მის შემდეგაც ერთი კვირა მოუწევს დასვენება. მჭედლიძეს ნაკრების ვარჯიშისას მუხლი შეუბრუნდა.

„ნაკრებთან ერთად სანაკრებო გარემოში გასაშინაურებლად წამომიყვანეს და ეს ჩემი სურვილიც იყო. ნაკრების გამოცდილი ფეხბურთელებისგან ბევრს ვსწავლობ“ — გვითხრა ლევანმა.

მგზავრობისა და სადილის შემდეგ ფეხბურთელებმა დასასვენებლად გასწიეს. მწვრთნელი კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად დარჩა. ცხადია, სადღეისო მატჩზე სასაუბროდ.

ტოპმიოლერი, ისევე, როგორც მთელი ქართული დელეგაცია და აქ მცხოვრები ჩვენებურები, ჩინებულ განწყობაზე და ლიტვასთან წარმატების მოლოდინშია. სხვათა შორის, ნაკრებს კაუნასში არვიდას საბონისის კალათბურთის აკადემიის ქართველი მოწაფე გიორგი ჯგერენაიაც დახვდა, ვინც ტიტულოვანი კაუნასის „ჟალგირისის“ დუბლებში თამაშობს და ნახევარი გუნდი „მოუმდურებია“, როცა უთქვამს, ქართველი ფეხბურთელები დიდი ანგარიშით მოიგებენო. ამ ბიჭის გარდა კი დარიუსის და გირენასის სახელობის სტადიონზე სადღეისოდ ორასამდე ქართველსაც ელიან. ხოლო თავად ლიტველებს მატჩზე დასწრების მაინც და მაინც დიდი სურვილი არ ეტყობათ — გუშინ ნახევარმა ქალაქმა არც იცოდა, რომ დღეს ფეხბურთია. მიუხედავად ბილეთების სიიაფისა, სტადიონის სალაროებთან კანტიკუნტად თუ გამოჩნდებიან. არც ისეთი რეკლამირებულია ეს მატჩი, როგორც, მაგალითად, საქართველოს თასის ამასწინანდელი ფინალი იყო. თუმცა ამათ თავიანთი იკითხონ, ჩვენ კი ჩვენი...

მერე ცოტა ხანს კლაუს ტოპმიოლერმაც დაისვენა და ვიდრე ნაკრებს „დარიუს და გირენას“-ზე სავარჯიშოდ წაიყვანდა, იქვე სასტუმროში პრესკონფერენცია გამართა...





კობა ინასარიძის ფოტო

## სეგრტის საესპანეთო საქართველო

წუხელ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა პეტარ სეგრტმა ის 24 ფეხბურთელი დაასახელა, რომელთაც 5 ივნისს ესპანეთთან ევროშესარჩევი მატჩისთვის მოამზადებს...

**მეკარეები:** გიორგი ლორია (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), რევაზ თევდორაძე (დილა);

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე (ბათუმი), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), კახა მახარაძე (ჩიხურა), ამირან სანაია (ზესტაფონი), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), გურამ კაშია (დინამო);

**ნახევარმცველები:** მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), სანდრო კობახიძე, გიორგი მერებაშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი (სამივე დინამო), ლევან ყენია (ლოკომოტივი), ალექსი ბენაშვილი, გიორგი ხიდეშელი, მურთაზ დაუშვილი (სამივე ზესტაფონი), ვალტერ ხორგუაშვილი (ტირასპოლი, მოლდოვა);

**თავდამსხმელები:** გიორგი ჭელიძე (ზარია, უკრაინა), რევაზ ბარაბაძე (დნიპრო, უკრაინა), ვახტანგ კვარაცხელია (ბათუმი), ბესიკ ჩიმაკაძე (ამერი).

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ევრო 2008. შესარჩევი ეტაპი. კაუნასი. „დარიუსი და გირენასი“. 22 საათი

# ლიტვა — საქართველო

მსაჯები: კ. კირჩეტა, მ. ნავარო, ა. ფერნანდესი, ს. კევერი (ყველა შვეიცარია); უეფას დელეგატი: ს. ლოდჯი (ინგლისი)

**კლაუს ტოპმიოლერი:** საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან გვაქვს საქმე. ლიტვას შეუძლია მაღალი ხარისხის ფეხბურთის თამაში, ამაში დავრწმუნდი მაშინ, როცა ისინი ეთამაშნენ შოტლანდიას, საფრანგეთსა და უკრაინას. ხოლო იტალიაში სულაც ქულა აიღეს. ჩვენ ყველა ეს მატჩი შესწავლილი გვაქვს და პლუს მათი ბოლო ამხანაგური მატჩი, რომელიც მალისთან გამართეს. ამ ყველაფრის მიუხედავად კი, ჩვენ კაუნასში მხოლოდ 3 ქულისთვის ჩამოვედით, მოგების გარდა, სხვა შედეგზე ლაპარაკიც არ მსურს. ჩვენც პროგრესის გზაზე ვართ და ყველა წინაპირობა გვაქვს საიმისოდ, რათა ლიტვას თავდაჯერებულებმა ვეთამაშოთ და მატჩი საჩვენოდ დავასრულოთ.

— სამი დღე ვიყავით ფრანკფურტში და მშვიდ და წყნარ ატმოსფეროში ვემზადებოდით. შემწუხებელი და დამკვირვებელი არავინ გვყავდა. საკმაოდ ბევრი ვიმუშავეთ ტაქტიკურ მონახაზზე. განსაკუთრებით კი, დიდი ყურადღება დავუთმეთ სტანდარტულ მდგომარეობებს. ფრანკფურტული შეკრების შემდეგ დაგვაკლდა მეკარე ნუკრი რევიშვილი. ასევე ტრავმირებულია თავდამსხმელი, 17 წლის ლევან მჭედლიძე. ზოგადად კი, მინდა ვთქვა, რომ 19-წლამდელთა ნაკრებში უკვე, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულის რამდენიმე კანდიდატი თამაშობს. მაგალითად, ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, რატი წინამძღვრიშვილი, მეკარე გიორგი მაკარიძე... მაკარიძე სულაც ლიტვის შემდეგ გერმანიაში დაგვხვდება და საფრანგეთთან მატჩისთვის ჩვენთან მოემზადება. ეს ფეხბურთელები მომავალში აუცილებლად მოხვდებიან ეროვნული გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში.

— რაიმე განსაკუთრებულ სიურპრიზს მეტოქეს ნამდვილად არ ვუმზადებ. ჩვენ კონკრეტულ მეტოქესთან კონკრეტული პროგრამით ვემზადებით. ლიტვას აქვს სუსტი წერტილები და ამის გამოყენებას მეტწილად სწორედ სტანდარტული მდგომარეობების ეფექტურად გამოყენებით ვეცდებით.

— მატჩისწინა ვარჯიში იმიტომ დავხურეთ, რომ არ გვსურდა, გერმანიაში ჩვენი მომზადება წყალში



კობა ინასარიძის ფოტო

ჩაყრილიყო. მოგეხსენებათ, მატჩისწინა ვარჯიშებზე ხშირად იკვეთება სათამაშო შემადგენლობა, ტაქტიკური ვარიანტები და აქაც ვამჯობინეთ, უცხო თვალს მოვრიდებოდით. ადრე მეც ყოველთვის მაინტერესებდა ხოლმე ჩემი მეტოქე გუნდის მატჩისწინა ვარჯიშები და ამით ბევრ საჭირო ინფორმაციასაც ვიღებდი.

— ოთარ მარცვალაძე ძირითად შემადგენლობაში არ იქნება, ხოლო რომელი ფეხბურთელები ითამაშებენ თავდასხმაში, ამას ვერ გეტყვით. თუ კარგად დაფიქრდებით, თავადვე მიხვდებით...

ჩვენც დავფიქრდით და, ლიტვის ნაკრებს ალბათ დემეტრაძე-იაშვილის წყვილი შეუტევს.

ისე კი, როცა ტოპმიოლერი ჟურნალისტებს ამ ყველაფერს უებნებოდა, მისი თანაშემწე რალფ მინგე ლიტვის ნაკრების ვარჯიშს ესწრებოდა და ბლოკნოტში გამალებით იწერდა რაღაც-რაღაცებს. ეჭვგარეშეა, მინგე ტოპმიოლერს საინტერესო და მსუყე მასალას მიუტანდა.

თუმც ეს ლიტველთა წმინდა სპორტულ მხარეს შეეხება, სხვა მხრივ კი, ალგიმანტას ლიუბინსკასის გუნდში დიდი არეული ვითარებაა — ფეხბურთელები მწვრთნელს ერთიმეორის მიყოლებით ებუტებიან და მართალია, ამაზე საზოგადოდ არავინ ლაპარაკობს, დაძაბულობა მაინც ნათლად ჩანს...

მოკლედ, დღეს, თბილისის დროით, 22 საათზე ლიტვა — საქართველოა.

ვნახოთ...

**კობა ინასარიძე კაუნასიდან**



კობა ინასარიძის ფოტო

საქართველოს ნაკრების ბოლო ვარჯიში ლიტვასთან მატჩამდე



გუშინწინ ციურიხში ფიფას ახალ შტაბბინაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. თუმცა არჩევნები ამას, შეგვიძლია, პირობითად ვუწოდოთ, რადგან კანდიდატი მხოლოდ ერთი იყო — იოზეფ ბლატერი, რომელიც ზედიზედ მესამედ გახდა ფიფას პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, ამ არჩევნებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაც დაესწრო და ბლატერს თავისი ხმა შეაწია. ფიფას საპრეზიდენტო არჩევნების გარდა, ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და გენერალურ მდივან უჩა უგულავას ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხებიც ჰქონდათ გადასაწყვეტი...

უჩა უგულავას ციურიხში რომ შევეხმიანეთ, თავდაპირველად არჩევნებზე ვკითხეთ...

# საქართველომ თქვა, ბრაზილია იტყვის

— ფაქტობრივად, არჩევნები არც ყოფილა. როგორც კი ერთადერთი კანდიდატურა ოფიციალურად გამოცხადდა, დელეგატებმა ტაში დაუკრეს და ბლატერს პირდაპირ მიულოცეს გაპრეზიდენტება, მაგრამ, რადგან აუცილებელი იყო, მოგვიანებით ხმები მაინც დაითვალეს.

**— ქართული ფეხბურთისთვის რამე მნიშვნელოვანი ხომ არ მომხდარა?**

— ჩვენ მიმართ ყველა დადებითად არის განწყობილი. ნოდარ ახალკაცს ყველამ მიულოცა პრეზიდენტობა, რამდენიმე ქვეყანამ თანამშრომლობაც შემოგვთავაზა... ფიფასაც აქვს გარკვეული პროექტები საქართველოში ფეხბურთის განვითარების თაობაზე, რომელზეც ახლო მომავალში ერთობლივად მოგვიწევს მუშაობა. ასე რომ, რაღაც გარკვეული ძვრები უკვე არის.

**— ციურიხშივე უნდა გადაწყვეტილიყო საქართველო — ბრაზილიის ამხანაგური მატჩის ჩატარების დეტალები. ამ მხრივ რა სიახლეა?**

— ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რიკარდუ ტეიშეირა იყო ჩამოსული და მას ვესაუბრეთ. გვითხრა, სათამაშოდ ძალიან ბევრი ქვეყანა გვეპატიჟება და ყველა წინადადებას დეტალურად ვაანალიზებთო. ამიტომ კონკრეტულად ჯერ მაინც ვერაფერი გადაწყდა. შევთანხმდით, რომ შვიდ-ათ დღეში ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის გენერალურ მდივან მარკო ტეიშეირას დავუკავშირდეთ და საბოლოო პასუხსაც მაშინ გავიგებთ.

**— თქვენი აზრით, რამდენად რეალური ჩანს ამ მატჩის გამართვა?**

— კონკრეტულად ვერ გეტყვით. ჩვენი მხრიდან შევთავაზეთ ის თანხა, რამდენის შესაძლებლობაც გვაქვს. დანარჩენი უკვე მათი გადასაწყვეტია...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველო — ლიტვა. ურთიერთშეხვედრები

ამხანაგური მატჩი
27.05.90. თბილისი. „ეროვნული“. 55 000

**საქართველო 2:2 ლიტვა**

0:1 ნარბეკოვასი (12პ), 1:1 გურული (62), 1:2 ბალტუშნიკასი (66), 2:2 კაჭარავა (81)
საქართველო: ბალაძე, კეტაშვილი, ცხადაძე (კაჭარავა 71), კუდინოვი, ფირცხალავა, ნადირაძე, ქეცბაია, რევიშვილი (თორლაშვილი 46), კორღალიძე (ბიგვავა 46), გურული, ფანცულაია (გოგრიჭიანი 46)
მწვრთნელი: გივი ნოდია
მსაჯი: მ. მიმინოშვილი (საქართველო)

ამხანაგური მატჩი
02.09.92. კაუნასი. „ცენტრალური“. 4 500

**ლიტვა 1:0 საქართველო**

1:0 მიკა (90)
საქართველო: დევაძე, გოგიჩაიშვილი, სიდამონიძე, კუდინოვი, გ. ჯიშკარიანი, ცომაია, გ. დარასელია, ჩიქოვანი, რ. არველაძე (ნემსაძე 56), ყიზილაშვილი, შ. არველაძე (დ. ჯანაშია 63)
მწვრთნელი: ანატოლი ნორაკიძე
მსაჯი: ს. ლიპალაი (ლატვია)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.
07.10.00. კაუნასი. „დარიუსი და გირენასი“. 8 000

**ლიტვა 0:4 საქართველო**

0:1, 0:2 ქეცბაია (19, 34), 0:3 ქინქლაძე (46), 0:4 არველაძე (85)
საქართველო: გვარამაძე, სილაგაძე, ხიზანიშვილი, კალაძე, კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ნემსაძე, ყაველაშვილი, ქეცბაია (მენთეშაშვილი 67), ქინქლაძე (ჯამარაული 71), დემეტრაძე (ა. არველაძე 59)
მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი
მსაჯი: რ. ვოიჩიკი (პოლონეთი)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.
05.09.01. თბილისი. „ლოკომოტივი“. 18 000

**საქართველო 2:0 ლიტვა**

1:0, 2:0 იაშვილი (82, 84)
საქართველო: გვარამაძე, საჯაია, ხიზანიშვილი, კალაძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ნემსაძე, ალექსიძე (ბურდული 67), იაშვილი (შ. არველაძე 89), ქინქლაძე, ყაველაშვილი (დემეტრაძე 46)
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
მსაჯი: ბ. იაკოვი (ისრაელი)

ამხანაგური მატჩი
09.02.05. თბილისი. „ლოკომოტივი“. 2 000

**საქართველო 1:0 ლიტვა**

1:0 აშვეთია (57)
საქართველო: ლომაია, მჟავანაძე (შაშიაშვილი 46), სალუქვაძე, ხიზანიშვილი, კვირკველია (კვარაცხელია 46), ამისულაშვილი, გოგუა (ოდიკაძე 76), ასათიანი (გოგობერიშვილი 70), ქინქლაძე, ჯაკობია (გიგიაძე 46), აშვეთია
მწვრთნელი: ალენ ჟირესი
მსაჯი: ზ. გადიევი (აზერბაიჯანი)

## ირლანდია

პრემიერლიგა
XIV ტური

კორკი 1:1 დერი
დროჰედა 1:1 ლონგფორდი
სენტ პატრიკსი 1:2 გალვეი
უოტერფორდი 1:3 დუბლინი
შემროკი 1:0 ბრეი

## არგენტინა

კლაუსურა. XVII ტური

ველესი 2:1 ნუევა ჩიკაგო

## პოლონეთი

ლიგის თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

ლეგია 0:2 ლეჩნა (2:2)

## ამხანაგური მატჩები

ინდონეზია 2:1 ჰონკონგი
იაპონია 2:0 ჩერნოგორია
ინგლისი 1:1 ბრაზილია

ახალგაზრდულები (U-21)

ჰოლანდია 1:0 პოლონეთი

## ევროპის 2009 წლის U-21 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი. 1 ტური
იტალია 4:0 ალბანეთი

II ჯგუფი. 1 ტური
უკრაინა 1:2 თურქეთი

IX ჯგუფი. 1 ტური
მოლდოვა 2:0 ჩრდ. ირლანდია

X ჯგუფი. 1 ტური
საფრანგეთი 1:1 რუმინეთი

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები



## ვისი ტკივილი ვისი ტკივილია

AFP

**საფრანგეთი — უკრაინა**

**ერთი** კითხვა, რომელსაც პასუხს ჩვენვე გავცემთ: როგორ ფიქრობთ, დღეს გაივსება 80-ათასიანი „სტად დე ფრანსი"? პასუხი: უეჭველად, გაივსება! ხოლო თუ რატომ, ვინძლო უკვე მიხვდით — პარიზის გარეუბან სენ დენის, სადაც ეს სუპერთანამედროვე ნაგებობაა აშენებული, ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, უკრაინის ეროვნული ნაკრები სტუმრობს.

უკრაინა რომ ხელწამოსაკრავი მეტოქე არავისთვისაა, ეს ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატმაც დაამტკიცა. ვიცე-ჩემპიონი ფრანგებიც. თქმა არ უნდა, გულმოდგინედ ემზადებიან.

ოლეგ ბლოხინის სამწყსო თამაშამდე სამი დღით ადრე ჩავიდა პარიზში, რაიმონ დომენეკი კი შეგირდებს „პარი სენ ჟერმენის" საწვრთნელ ბაზაზე ავარჯიშებს.

პატრიკ ვიეირა, სილვენ ვილტორდი, ლუი საა, ტიერი ანრი, ვილი სანიოლი და მიკაელ სილვესტრი — დომენეკს რომ ეს ფეხბურთელები არ ეყოლებოდა, ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე იყო ცნობილი. მათ ნაცვლად კი „მამლების" მწვრთნელმა სებასტიან ფრეი, მეთიუ ბრიანი და ბაკარი სანუ მიიწვია.

დაგვეთანხმებით, ფრანგთა დანაკლისი საგრძნობია, მაგრამ თუ ოლეგ ბლოხინს „დავესესხებით", ეს არაფერია იმასთან შედარებით, უკრაინელებს რომ აქვთ. დომენეკს რა უჭირს, მათ შემცვლელებს იოლად იპოვის, მე ვიკითხო, ანდრეი შევჩენკო, სერგეი რებროვი, არტიომ მილევსკი, ალექსანდრ კუჩერი და ალექსანდრ შოვკოვსკი რომ არ მეყოლებიანო.

„ფრანგებზე წარმოდგენა, ცხადია, მაქვს, მაგრამ დეტალურად მათი თამაში ჯერ არ გაგვირჩევია. მათი იტალიელებთან შეხვედრის ფირს ვუყურეთ, თუმც ამ მატჩიდან ახალს ვერ დავინახავთ. იტალიელებთან სანიოლმა, ანრიმ, ვიეირამ და საამ ითამაშეს, ჩვენთან კი არც ერთი იქნება. რა შეიძლება, მეტოქის ძლიერ და სუსტ მხარეებზე ითქვას? საფრანგეთი მსოფლიოს მეორე გუნდია და დომენეკმა ზლაპრები რომ შეთხზას, წამყვანი ფეხბურთელები მაკლია და ვნერვიულობო, მაინც არ დავუჯერებ, თუმცა, რატომღაც მგონია, რომ ფრანგებს ცოტათი მაინც ეშინიათ ჩვენი" — განაცხადა უკრაინელთა მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა პრესკონფერენციაზე.

ზემოთ უკრაინელთა დანაკლისზე ვთქვით და დავძენთ, რომ მწვრთნელმა ტრავმირებული კუჩერის ნაცვლად ნაკრებში გამოცდილი ვეტერანი ვლადისლავ ვაშჩუკი დააბრუნა.

ცნობილი გახდა ორივე გუნდის სათამაშო ტაქტიკაც, თუმც ამას დიდი მარჩიელობაც არ სჭირდებოდაო, გვატყობინებენ ევროპული სააგენტოები: რაიმონ დომენეკი თავის საყვარელ 4-2-3-1 სქემას არ უღალატებს, ხოლო ოლეგ ბლოხინი 4-4-2-ის ერთგული დარჩება.

ერთი სიტყვით, ასეა: 12-12-ქულიანი საფრანგეთი და უკრაინა ესპანელ მსაჯ ლუის მედინა კანტალეხოს სასტვენისთანავე, თბილისის დროით, 23 საათზე დაეტაკებიან ერთმანეთს.

**გიორგი ვაჟაძიძე**

# ფარერებს იტალია ზეპირად სცოდნია
## დონადონის წინ გაუჭირდა

**ფარერები — იტალია**

**ფარერის კუნძულებს** დღეს მსოფლიოს ჩემპიონი სტუმრობს და პატარა ტორსჰავნიც დიდი ხალხის მოლოდინშია, თუმც „გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტ გაეტანო დე სტეფანოს თქმით, აჟიოტაჟი ნაკლებად კი არა, თითქმის არ იგრძნობა — ჩვენ მაჩანჩალები ვართ და რასაც გვიზამს იტალია, წინასწარ ვიცითო.

და რა უნდა ქნას იტალიამ? ვფიქრობთ, დაგეგმილი სამი ქულა უპრობლემოდ უნდა აიღოს, ხოლო რამდენ ბურთს შეაგდებენ აპენინელები, მოდით, ეს „მეკუშეებმა" იკითხონ.

ერთი კი ფაქტია: „სკუადრა აძურას" მწვრთნელი რობერტო დონადონი დღევანდელ მატჩს სერიოზულად უდგება, მერე რა, რომ მეტოქე სუსტია...

მსოფლიოს ჩემპიონები ორ ფეხბურთელს მოისაკლისებენ: ბარსელონელმა ჯანლუკა ძამბროტამ და მილანელმა მასიმო ამბროზინიმ ვარჯიშზე ტრავმები მიიღეს და ნაკრებს კუნძულებზე საერთოდ არ გაჰყოლიან.

„აძურას" კი დაუბრუნდა ვეტერანი ფორვარდი ფილიპო ინძაგი: „ცხადია, ამაყი და ბედნიერი ვარ. მადლობა დონადონის, კიდევ ერთი შანსი რომ მომცა. დღევანდელ იტალიის ნაკრებს „მილანს" შევადარებდი, იქაც და აქაც საკმაოდ მეგობრული ატმოსფეროა და დამიჯერეთ, წარმატების ერთ-ერთი გარანტი ესაა. დონადონიმ შეძლო და, ერთ მუშტად გაგვაერთიანა. რაღა დაგვრჩენია? უბრალოდ, გავიდეთ მინდორზე და მოვიგოთ".

„გაძეტა დელო სპორტი" იტალიელთა სავარაუდო შემადგენლობასაც გვამცნობს, დონადონის თითქმის გარკვეული აქვს ყველაფერი, ეგაა, თავდამსხმელთა სიჭარბემ ტვინი აურია, ყველა მათგანი კარგ ფორმაშია და ვინ დააყენოს ძირითადში, ჯერ არ იცისო.

„სკუადრა აძურას"კარს, როგორც ვართ ნაჩვევნი, ჯანლუიჯი ბუფონი დაიცავს.

დაცვის ოთხეული მარჯვნიდან მარცხნივ ასე დადგება: ოდო-კანავარო-მატერაცი-ტონეტო. საყრდენებად ჯენარო გატუზო, ანდრეა პირლო და სიმონე პეროტა გამწესდებიან, გამთამაშებლად კი დანიელე დე როსი. აი, ქვემოთ ჩამოთვლილი თავდამსხმელებიდან, რომელ ორზე შეაჩერებს არჩევანს რობერტო დონადონი, ჩვენ, ცხადია, ვერაფერს გეტყვით: ფილიპო ინძაგი, ალესანდრო დელ პიერო, ანტონიო დი ნატალე, ვინჩენცო იაკინტა და კრისტიანო ლუკარელი ბრძლენიან ყველაფერსო.

**გიორგი ვაჟაძიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:2 | 12 |
| შოტლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| უკრაინა | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 13:12 | 6 |
| ლიტვა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| ფარერები | 6 | 0 | 0 | 6 | 1:23 | 0 |

# დაღლილი საქართველო ნულიდან იწყებს
## საესის გაკეთებულს სეგრტი დღეს გააკეთებს

**ის,** რაც ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ინაკი საესმა ორი კვირის წინ გააკეთა, საქართველოს 21-წლამდელთა ხორვატი მწვრთნელი პეტარ სეგრტი დღეს გააკეთებს.

ჩვენების თავკაცი დღეს 5 ივნისის საქართველო — ესპანეთის სამატჩო განაცხადს ჩამოწერს. მატჩი 2009 წელს შვედეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისაა და ესპანელთა გარდა ჩვენს ჯგუფში რუსეთი, პოლონეთი და ყაზახეთი მოხვდნენ. შესარჩევი ეტაპი ორ წრედ, მიმოსვლით ჩატარდება. ჯგუფის პირველადგილოსნები და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი პლეი ოფში იმ შვიდ გუნდს გაარკვევენ, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ. ამ შვიდეულს, ცხადია, მასპინძელი შვედეთი დაემატება.

გუშინ ქართველების თავკაცმა პეტარ სეგრტმა შეკრებაზე გამოძახებული 34 ფეხბურთელი ორ გუნდად გაყო და ერთმანეთში ათამაშა. სპარინგი 1:1 დასრულდა. გუნდები კი, პირობითად, „წითლებად" და „ლურჯებად" გაიყვნენ.





*„ლურჯები": ლორია, თომაშვილი, მახარაძე, ფოფხაძე, ელბაქიძე, ჩირიკაშვილი, ბუალაძე, ვ. კვარაცხელია, წინამძღვრიშვილი, მარაბაძე, დვალიშვილი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ბენაშვილი, ნიკოლაიშვილი, ხიდეშელი, დათუნაშვილი.*

*„წითლები": რ. კვასხვაძე, თოთაძე, ლობჟანიძე, გ. კაშია, ნავალოვსკი, დაუშვილი, კახელიშვილი, გრიგალაშვილი, ხორგუაშვილი, კობახიძე, ჩიმაკაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ჭელიძე, მერაბიშვილი, ყენია, მჭედლიშვილი.*

სამოცწუთა ტესტ-მატჩის პირველი ტაიმი „ლურჯებმა" რევაზ ბარაბაძის ეფექტური გოლით მოიგეს. ბარაბაძემ მოედნის ცენტრთან შოთა გრიგალაშვილის პასი ჩაჭრა და 25 მეტრიდან ერთი შეხებით ცხრიანში გაუტანა როინ კვასხვაძეს. მეორე ტაიმში კი სანდრო კობახიძემ თავზე დაასვა ბურთი ამირელ ბესიკ ჩიმაკაძეს და მანაც ანგარიში გაათანაბრა.

აქვე ვთქვათ, რომ ტრავმების გამო ესპანეთთან ვერ ითამაშებენ ამირელები — ზურაბ გვაძაბია და დავით მჭედლიშვილი, „ზესტაფონის" შემტევი ბექა გოცირიძე კი დისკვალიფიცირებულია.

ტესტ-მატჩის შემდეგ *პეტარ სეგრტმა* ეს გვითხრა:

„ჩვენი მთავარი პრობლემა ბიჭების დაღლილობაა. ზოგი საკლუბო, ზოგიც 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შემდეგ „გადაიწვა". დასასვენებლად და ძალების აღსადგენად ცოტა დრო გვაქვს, რაც ძალიან მაფიქრებს. გაცხრილულ შემადგენლობას ხვალ გამოვაცხადებ — საამისოდ კიდევ ერთი ვარჯიში მჭირდება. რაც შეეხება ესპანეთს, ძალიან ძლიერი გუნდია. ესპანელები ექვსი წელია, ერთად თამაშობენ და შეკრული გუნდი ჰყავთ. ჯგუფის გამოკვეთილი ფავორიტიც სწორედ ესპანეთია, ჩვენ კი მეორე ადგილზე გასვლა შეგვიძლია, მაგრამ როგორც ყველა ნაკრებში, აქაც ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ".

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი დეკანოსიძე ახალი ძველი ამერელია

## არას სათქმელი მიზეზი არ არის



სეზონი დასრულდა და გუნდებში შვებულებების დროა. თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, შვებულება უფრო ფეხბურთელებს ეხებათ, თორემ კლუბების უფროსობა სწორედ ახლა იწყებს სატრანსფერო საკითხებზე აქტიურ მუშაობას.
ტრანსფერს ვერ დავარქმევთ, მაგრამ თასის მფლობელმა თბილისის „ამერმა" ერთი კონტრაქტი უკვე გაამზადა — „ყვითლების" ნახევარმცველ გიორგი დეკანოსიძეს სეზონის დასრულებასთან ერთად დაუმთავრდა ძველი კონტრაქტიც და კლუბს ახალ ხელშეკრულებაზე შეუთანხმდა.
შეგახსენებთ, რომ სამი წლის წინ დეკანოსიძის „ამერში" გადასვლა გამორჩეული სატრანსფერო გარიგება გახლდათ, რაკი ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიადან" იმხანად პირველლიგელ გუნდში გადავიდა. ასეთი რამ კი ხშირად არ ხდება...

— „ამერთან" ახალ კონტრაქტზე შეთანხმებული ხარ...

— დიახ, სამწლიან კონტრაქტს ვაფორმებ. მართალია, შეთანხმება ჯერ ოფიციალურად არ გაგვიფორმებია, თუმცა ყველა საკითხი შეთანხმებულია და „ამერში" ჩემი დარჩენა გადაწყვეტილია.

— რა არგუმენტები გქონდა გუნდში დარჩენის სასარგებლოდ?

— პირველ რიგში, ამბიცია, რომელიც „ამერს" აქვს და ის შედეგებიც, ამ სამ წელიწადში რომ მივაღწიეთ. გარდა ამისა, არც ისეთი შემოთავაზებები მქონია სხვა კლუბებისგან, რომლებზეც უარის თქმა სისულელე იქნებოდა. ერთი სიტყვით, არც ერთი მიზეზი არ ყოფილა, „ამერთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე თავი რომ შემეკავებინა.

— იმ სამი სეზონის განმავლობაში, რაც „ამერში" ხარ, საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებ?

— გუნდის შედეგებით კმაყოფილი ვარ — პირველი ლიგის ჩემპიონები გავხდით, ორჯერ საქართველოს თასი და ერთხელაც სუპერთასი მოვიგეთ, თუმცა ჩემი თამაშით ბოლომდე კმაყოფილი ვერ ვიქნები. ვიცი, რომ უკეთესადაც შემეძლო.

— და როგორ ფიქრობ, რა მიზეზით ვერ შეძელი უკეთ თამაში?

— ერთი კონკრეტული მიზეზის დასახელება მიჭირს... ერთ-ერთ მიზეზად ტრავმებს დავასახელებ, ამის გამო ხომ საერთო ჯამში რამდენიმე თვე გამიცდა. თან გამოჯანმრთელების მერე ფორმაში უცებ შესვლაც ძნელია.

— ამბობ, რომ საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ხარ, თუმცა კლუბმა კონტრაქტის გაგრძელება რომ შემოგთავაზა, გამოდის მწვრთნელი შენით კმაყოფილია...

— დიახ, ასე გამოდის და მიხარია, გუნდში ჩემს შრომას დადებითად რომ აფასებენ.

— ისე, წინა სეზონებში „ამერის" პენალტებს შენ ურტყამდი, თუმცა ბოლო სეზონში ეს აღარ გაგიკეთებია...

— თასის წინა ფინალში პენალტი რომ გავაფუჭე, მერე ვერიდებოდი დარტყმას. ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ პენალტს აღარასდროს დავარტყამ.

— თასის წლევანდელ ფინალზეც გკითხავ. ფლანგზე ითამაშე, მაგრამ ხშირად შუაშიც შედიოდი — ალბათ, მწვრთნელის დავალება იყო...

— დიახ. „ზესტაფონს" შუაში სამი ფეხბურთელი ჰყავდა და რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, რასაც კარგად იყენებდა. შესვენებისას გიორგი ჩიხრაძემ დამავალა, ცენტრალურ ნახევარმცველებს დავხმარებოდი და ვფიქრობ, მეორე ტაიმში მეტოქის უპირატესობა აღარ იგრძნობოდა.

**ქოტე ქექელია**



რუსთავის „ოლიმპმა" საჩემპიონო სეზონის დასრულებისთანავე მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა და მის ნაცვლად გუნდი მეორე მწვრთნელ ვარლამ კილასონიას ჩააბარა.
კილასონია რუსთაველია და წლების განმავლობაში „გორდაში" თუ „მეტალურგში" თამაშობდა. მას შემდეგ, რაც ფეხბურთელის კარიერა დაასრულა და მწვრთნელობას მიჰყო ხელი და ერთხელ „გორდა" პირველი ლიგიდან უმაღლესში გადაიყვანა, მაგრამ გუნდი უფულობის გამო დაეშალა.
ახლა რუსთავში სხვა დროა. ახალშექმნილი „ოლიმპი" პირველი ევროსეზონისთვის ემზადება — როგორ და რა მიზნებით, ამის გასაგებად კილასონიას შევეხმიანეთ...

# ქართველებიც გვინდა და უცხოელებიც!

— მთავარი მწვრთნელის რანგში ფეხბურთელებს ჯერ არ შევხვედრივარ. ფეხბურთელებს კი ვიცნობ, მაგრამ რამდენიმე მათგანს კონტრაქტი დაუმთავრდა, რამდენიმე იჯარით იყო, ასე რომ, გუნდის გაცნობა ხელახლა მიმიწევს.

— ვიცით, რომ „ოლიმპი" ოთხმა ფეხბურთელმა, ბერუაშვილმა, ჩხარტიშვილმა, გოცირიძემ და ძამსაშვილმა დატოვეს, კიდევ ხომ არავინ დააკლდა გუნდს?

— ბერუაშვილის და ჩხარტიშვილის წასვლა ვიცი. მეტს ვერაფერს გეტყვით.

— გიორგი კახელიშვილის „ზესტაფონში" გადასვლაზეც ბევრს ლაპარაკობენ...

— ამის თაობაზე არაფერი ვიცი.

— როდის შეიკრიბებით და სად?

— 7 ივნისს თბილისში დავიწყებთ მომზადებას. ჩემპიონთა ლიგის სავარაუდო მეტოქე ცოტა ადრე რომ გარკვეულიყო, უცხოურ შეკრებას ამ გუნდის ქვეყნის გათვალისწინებით დავგეგმავდით. თუმც ერთ შეკრებას უცხოეთში ალბათ მაინც გავივლით.

— გაძლიერებას აპირებთ?

— აუცილებლად. ფეხბურთელებს საქართველოს ჩემპიონატიდანაც დავიმატებთ და ლეგიონერებსაც გავსინჯავთ. ვინც ღირსი იქნება, დავიტოვებთ.

— ბოლნისის „სიონის" კამერუნელი ლეგიონერების დამატებაზეც ითქვა...

— ვერაფერს გეტყვით.

— კლუბის ხელმძღვანელობამ რა მიზანი დაგისახათ ჩემპიონთა ლიგაზე?

— კონკრეტული მოთხოვნა არ ყოფილა, თუმც პირველი ეტაპი აუცილებლად უნდა გავიაროთ. მეორე ეტაპის გავლის შანსი მცირეა, იქ ძალიან ძლიერი გუნდები იყრიან თავს, თუმცა ყველანაირად ვეცდებით, კარგი შედეგი ვაჩვენოთ.

— რას შეცვლით „ოლიმპის" ტაქტიკაში?

— უაზრო შეტევაზე გაკეთებული აქცენტი ყოველთვის დამღუპველია. თანამედროვე ფეხბურთში დაცვისა და შეტევის შერწყმა იდეალური ვარიანტია. ტაქტიკური მონახაზიც მეტოქე გუნდის შესაბამისად უნდა შეირჩეს. ისე, ალბათ უფრო შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ, რადგან შეტევის გარეშე გოლი არ გადის, გოლის გარეშე კი თამაშს ვერ მოიგებ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# აბრამიძეს დუბლი აიძულეს

## თეთრაძის დიასპორა ერთით გაიზარდა



**ახლახან** ლენქორანის „ხაზარის" ქართველმა ლეგიონერმა ვალერი აბრამიძემ აზერბაიჯანული დუბლი გაიფორმა — ჩემპიონობა და თასი მოიგო.

აზერბაიჯანში სეზონი ერთი კვირის დასრულებულიც არ არის, თუმც, როგორც ჩანს, აბრამიძეს დასვენება არ უწერია. აზერბაიჯანული და რუსული ვებგვერდების ცნობით, აბრამიძე რუსეთის პირველი დივიზიონის მახაჩყალის „ანჟიში" გადავიდა. იქ, სადაც მას საკმაოდ დიდი ქართული დიასპორა დახვდება — კახა მჟავანაძე, ზურაბ არზიანი, გოჩა ხოჯავა და მწვრთნელი, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ომარ თეთრაძე.

რამდენწლიანი კონტრაქტი გაფორმდა კლუბსა და ქართველ ფეხბურთელს შორის, ჯერჯერობით უცნობია.

„აბრამიძემ ჯერ კიდევ ზამთარში მიიღო შეთავაზება „ანჟიდან", მაგრამ მაშინ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი სეზონის ბოლომდე შენარჩუნება. აბრამიძის წასვლა ჩვენთვის დიდი დანაკლია, სასწრაფოდ უნდა მოვძებნოთ მისი შემცვლელი" — განაცხადა „ხაზარის" მთავარმა მწვრთნელმა აგასალიმ მირჯავადოვმა.

შეგახსენებთ, რომ აბრამიძეს თავის დროზე საქართველოს ეროვნულ გუნდშიც უთამაშია...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თარგამაძის ფრაი გაჰოფენჰაიმდა

## ფინკე მიდის და ქართველი მიჰყავს?

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელ დავით თარგამაძის გერმანიაში ჩასვლა 3 ივლისისთვის გადაიდო. 17 წლის ნახევარმცველი „ფრაიბურგთან" კონტრაქტზე ხელმოსაწერად ემზადება, თუმცა, შესაძლოა, ეს კონტრაქტი არც შედგეს...

„ფრაიბურგს" კონკურენტი გამოუჩნდა — მეორე ბუნდესლიგაში წლეულს ალზევებული „ჰოფენჰაიმი". როგორც შევიტყვეთ, ფრაიბურგელთა მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე თავის ასისტენტებიანად სწორედ „ჰოფენჰაიმში" აპირებს გადასვლას და თარგამაძის წაყვანაც სურს.

ცნობისთვის: „ჰოფენჰაიმი" ალექსანდრე იაშვილითაცაა დაინტერესებული, თუმც ჩვენებურს მეორე ბუნდესლიგაში თამაში აღარ სურს.

აქვე ვთქვათ, რომ „ჰოფენჰაიმი" ფინანსურად ერთ-ერთი გამართული კლუბია გერმანიაში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სელესაოს 11
## ომი, მონათმფლობელობა და სხვა საუცხოო ფაქტორები












**ბრაზილია**_ ყველაფერს, რაც ფეხბურთში საუკეთესოა, ეს სიტყვა გამოხატავს. ის ნიშნავს არტისტიზმს, შთაგონებას, დიდ ნიჭს, ინდივიდუალური ოსტატობისა და გუნდური ერთსულოვნების შეხამებას, ეს კი ჯამში ლამაზ სანახაობას და სპორტულ შედეგს ერთად იძლევა.

50 წელიწადზე მეტია, ეს ქვეყანა მსოფლიოს ისეთ დიდ ფეხბურთელებს ჩუქნის, როგორებიც არიან პელე, გარინჩა, ჟაირზინიო, ტოსტაო, სოკრატესი, ზიკო... რამდენიმეს ჩამოთვლაც საკმარისია.

დიახ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიამ ჩააგდო, მაგრამ ამ ქვეყანას რონალდინიო და კაკა ჰყავს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლეგენდა ცოცხალია და ის მაინც უმაღლესი დონის მოლოდინს აცოცხლებს.

მაგრამ, როგორ ახერხებს ბრაზილია ამდენი საუცხოო გუნდისა და ფეხბურთელის შობას? ამ დღეებში, როდესაც პენტაკამპეონთა ნაკრები „უემბლიზე" ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ინგლისში გახლდათ, ამ საიდუმლოს ამოსაცნობად BBC-ს ჟურნალისტებმა, ენდრიუ ბენსონმა და ჯონ სინოტმა რამდენიმე დიდ ბრაზილიელ ვარსკვლავს მიაკითხეს. მათ გამოკვლეულს ქვემოთ გთავაზობთ.

### ეროვნული სიგიჟე

ბრაზილიელთა საფეხბურთო მსოფლიოში გაბატონების ამბავი იმ დღიდან იწყება, როდესაც ამ ქვეყანაში ფეხბურთმა განსაკუთრებული სტატუსი მოიპოვა.

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა: „ნაკრები ერის სახეა. მისი თამაშები ერთადერთია, რაც ჩვენს ხალხს აერთიანებს".

„და კიდევ, ბრაზილიაში ფეხბურთი რელიგიასავითაა — დასძენს კარლოს ალბერტო ტორესი, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის კაპიტანი — მასზე ყველა ლაპარაკობს და, რაც მთავარია, მუდმივად, ნებისმიერ წუთს და ნებისმიერ წამს. ფეხბურთზე ჩვენში განა მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და ბრაზილიის ნაკრებს ტიტულის მოპოვების შანსი აქვს, არამედ, ყოველთვის. ევროპასა და ბრაზილიას შორის განსხვავებაც სწორედ ეს არის. მსოფლიოს ჩემპიონატი რომ დამთავრდება, ევროპელები ცხოვრებასა და ბიზნესზე იწყებენ ფიქრს, ბრაზილიაში კი 24 საათის განმავლობაში მთავარი თემა ისევ ფეხბურთია".

კი მაგრამ, რატომ?

პარეირა ამბობს, რომ აი, ამ კითხვაზე პასუხი არავის აქვს...

„ამ კითხვაზე პასუხს ფსიქოლოგებიც ეძებენ და სოციოლოგებიც, მაგრამ დაზუსტებით ვერაფერი დაუდგენიათ. არ არის გამორიცხული, რომ ამის მიზეზი ბრაზილიის ყოფა და ისტორიაა: ჩვენ არასოდეს გვიბრძოლია დამოუკიდებლობისთვის, არასდროს გადაგვიტანია მიწისძვრა, არასდროს გვიომია..."

ჟურნალისტი ალექს ბელოში, რომლის კალამსაც ეკუთვნის წიგნი „ფეხბურთი — ბრაზილიური ცხოვრების წესი", გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ბრაზილიელთა ფეხბურთისადმი ასეთი დამოკიდებულება სხვა მიზეზებთან ერთად მონათმფლობელობის შედარებით გვიან, მე-19 საუკუნის ბოლოს გადაგდებისა და ქვეყანაში სხვა დადებითი სიმბოლოების არქონითაც არის განპირობებული.

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ლეონარდო: „ესაა მიზეზი თუ ის, ბრაზილიამ ფეხბურთი თავიდანვე მიიჩნია დანარჩენ მსოფლიოსთან დიალოგის საშუალებად, ენად აღიარა და წინა საუკუნის 30-იანი წლებიდან საერთაშორისო სარბიელზე კონკურენტუნარიანი გუნდის მშენებლობა დაიწყო, რისკენაც უდიდესი ნაბიჯი 1950 წელს გადაიდგა. 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ურუგვაისთან დამარცხება ეროვნულ ტრაგედიად გამოცხადდა, მაგრამ მან კიდევ უფრო გაამძაფრა გამარჯვების წყურვილი".

და მართლაც, სწორედ იმ დამარცხებამ განაპირობა მნიშვნელოვანი რამ: 1950 წლის წარუმატებლობა ბრაზილიელებმა პირად სისუსტედ და საკუთარ შემოქმედებით დეფიციტად მიიჩნიეს, ამის გამოსასწორებლად კი ისინი ახალი ძალით შეუდგნენ ნაკრების განვითარებას, შეიმუშავეს ახალი მეთოდიკა და ტაქტიკური ვარიანტები.

განა ერთხელ და ორჯერ თქმულა, რომ ბრაზილიური გუნდები დაცვაში მოისუსტებენ? მაგრამ ეს ასე არ არის და ამის დასამტკიცებლად იმის თქმაც საკმარისია, რომ 1958 წელს ოთხკაციანი დაცვის სისტემა მსოფლიოს სწორედ მათ გააცნეს.

შეგახსენებთ: 1958 წელს ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

იმ ეპოქაში ბრაზილიელები საფეხბურთო ტაქტიკას ფრთხილად, მაგრამ ჯიუტად ანვითარებდნენ, რის გამოც 70-იან წლებამდე სწორედ ისინი გახლდნენ ამ სფეროში სიახლეთა მომწოდებლები. მათი თამაშის გეგმა ევროპულის დარად დაწვრილებით იყო გააზრებული, მათი ფეხბურთელები ევროპელებს ფიზიკურ მომზადებაში არ ჩამორჩებოდნენ, ხოლო ტექნიკაში უპირატესობა მათ მხარეს იყო. შედეგად, ბრაზილიის ნაკრები 1962 და 1970 წლებშიც გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

### გამორჩეული ქვეყანა

აკი მოგახსენეთ, რომ ბრაზილიელები ერთიანად ფეხბურთით არიან შეპყრობილნი, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება კი მათთვის საკუთარი მნიშვნელოვნების დადასტურებას ნიშნავს.

ზოგადად, ბრაზილია დიდი ქვეყანაა, იქ 183 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი თამაშობს მათგან ფეხბურთს კარგად. ერთი სიტყვით, 183 მილიონი ბრაზილიელიდან ერთი გუნდის ამორჩევა, წესით, პრობლემა არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ პარეირას თქმით, „ფეხბურთს უკლებლივ ყველა თამაშობს".

მაგრამ ბევრი ადამიანისთვის ფეხბურთი მარტო ბურთის თამაში არ არის, ის, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების გადარჩენაა.

ფაქტია, რომ ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელთა არცთუ პატარა ნაწილი ფაველებიდან (ფაველა ქალაქის ქოხმახებიან გარეუბანს ნიშნავს) არის გამოსული. აქ, ამ ქოხმახებიან დასახლებებში ცხოვრება უკიდურესად მძიმეა — ადამიანების ცხოვრებას ნარკოგამყიდველები აკონტროლებენ, ბავშვებისთვის კი სკოლები არ არის. ერთი სიტყვით, ფაველადან თავის დასაღწევად ბრაზილიაში ერთადერთი გზა ფეხბურთია და ესეც თქვენ კიდევ ერთი პასუხი კითხვაზე, რატომ თამაშობენ ბრაზილიელები ფეხბურთს ასე კარგად — იმიტომ, რომ სხვა გზა არ აქვთ.

### სხვანაირი ფეხბურთი

ზემოხსენებულმა კარლოს ალბერტო ტორესმა 2006 წელს ფიფას ჯილდო მიიღო, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ლამაზი გოლის ავტორმა. აქ ლაპარაკია 1970 წლის ფინალში, იტალიის ნაკრების კარში გატანილ გოლზე — ბრაზილიამ „სკუადრა ატურას" 4:1 მოუგო. კარლოს ალბერტოს აუღებელ დარტყმამდე კომბინაციაში ცხრა ბრაზილიელმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, პელემ, რიველინომ და ჟაირზინიომ.

— ახლა კიდევ უფრო კარგად ვხვდები, რამდენად ლამაზი და მნიშვნელოვნი იყო ის გოლი — ამბობს კარლოს ალბერტო, რომელიც მაშინ 25 წლისა იყო, მისი არტისტიზმი კი ბავშვობიდან იხვეწებოდა და 1970 წლის ფინალს მწვერვალზე უწია.

საერთოდ, ბრაზილიელი ბავშვები ევროპელი თანატოლებისგან განსხვავებით, თამაშს სულ სხვა ვითარებაში სწავლობენ. მათ არავინ უმართავს ასაკობრივ ჩემპიონატებს, რაც, შესაძლოა, შემოქმედებით აზროვნებასა და იმპულსებს ზღუდავს.

„ბავშვები ბრაზილიაში ძალიან ბევრს თამაშობენ, მაგრამ ისინი აბსოლუტურად თავისუფალნი არიან — განგვიმარტავს ლეონარდო — ჩვენში რვა წლის ბავშვს არავინ ეტყვის, მარჯვენა მცველი იყავიო".

ლეონარდოს პარეირა ეთანხმება: „ჩვენ მათ ჩარჩოებში არ ვაქცევთ, არ ვეუბნებით, რომ ასეთები და ისეთები უნდა იყვნენ. ჩვენ მათ თავისუფლებას ვანიჭებთ, სანამ იმ ასაკს და განვითარების [illegible] ენ, რომ წვრთნას [illegible]".

ისევ ლეონარდო: „ევროპაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის სათამაშოდ სტადიონისკენ მიმავალმა ფეხბურთელმა ავტობუსში რომ იცეკვოს, არასერიოზულობად და ყურადღების გაფანტვად ჩაუთვლიან და გაჩერებენ, ბრაზილიაში კი, თუ არ ლაპარაკობ ან არ ხუმრობ, ესე იგი, გეშინია. მოკლედ, მენტალიტეტია აბსოლუტურად განსხვავებული. სისტემისა და კოლექტიურობის იდეა ევროპასა და ბრაზილიაში სრულიად განსხვავებულად ესმით. საერთოდაც, სისტემა, როგორც ცნება, ევროპაში გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ბრაზილიაში, თუმც მისი მნიშვნელოვნების ამბავი ჩვენც კარგად ვიცით".

ბრაზილიური თავისუფლება, საფეხბურთო ნიჭი და წარმატება — ეს ყველაფერი რონალდინიოს ღიმილშია კარგად გამოსახული, მაგრამ ამ ღიმილის უკან უზარმაზარი შრომა გახლავთ დამალული.

ბრაზილიური ფეხბურთის ექსპერტი საიმონ კლიფორდი:

„ინგლისური აკადემიის სისტემა ისეთია, რომლის მიხედვითაც მოთამაშე კვირაში ოთხ საათს ვარჯიშობს. შეადარეთ ახლა ეს ოთხი საათი იმ 20 საათს, რომელსაც ფეხბურთის მოედანზე 16 წლის რონალდინიო ატარებდა".

პარეირა: „ბრაზილიელი ვარსკვლავები შექმნილნი, ქარხნული ენით რომ ვთქვათ, გამოშვებულნი არიან. ისინი კლუბებში 10-12 წლისანი მიდიან და ასაკის მიხედვით კატეგორიებად ხარისხდებიან. პლაჟიდან და ქუჩიდან დიდ გუნდში აღარავინ მიდის, ეს ლამაზ ლეგენდადღა არის დარჩენილი. ახლანდელები კლუბებში არიან გამოყვანილები".

აღსანიშნავია, რომ ბრაზილია დანარჩენი მსოფლიოსგან ტაქტიკურადაც ფრიად განსხვავებულია.

ბრაიან კერი, ირლანდიის ნაკრების ყოფილი თავკაცი:

„ბრაზილიურ გუნდში მხოლოდ ორი კაცია ნამდვილი მცველი და ისინი დაცვის შუაში დგანან. განაპირა მცველები ძალიან წინ არიან გაწეულნი და გამოდის, რომ მთელი გუნდი ორ-ორად არის დანაწილებული: 2-2-2-2-2. თუმცა ეს მატჩისწინა განლაგებაა, გუნდის წყობა სასტარტო სასტვენის წინ, სასტვენის შემდეგ კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგალითად, მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ერთბაშად სამი კაცი შეიძლება იხილოთ. ასეთი რამ არსად მენახა და განსაკუთრებით იმან იმოქმედა, რომ ასეთი თამაშის საშუალებას ბრაზილიელებს მათი ფეხბურთელების ხარისხი აძლევს".

იმავდროულად, ბრაზილიაში ფეხბურთელთა აღზრდის სისტემა სამართლიანი და მკაცრია. გნებავთ მაგალითი? იმ 17-წლამდელებიდან, რომლებიც რონალდოსთან ერთად შეადგენდნენ ბრაზილიის ნაკრებს, პროფესიონალი ფეხბურთელი მხოლოდ „რონი" გახდა.

ასე რომ, გზა, რომელიც ბრაზილიელმა ბავშვმა ფაველადან სელესაოს 11-მდე უნდა გაიაროს, რთულია და ძალიან, ძალიან თავისებური. ჰოდა, სწორედ ამ თავისებურების გამო არიან ბრაზილიელები მსოფლიოში საგანგებონი...

**ბაჩუნა ძიძია**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## ლექცია ნორვეგიის იმიჯზე საბერძნეთი უეფამ კუნძულზე გააგზავნა

**ევროპის** ჩემპიონმა საბერძნეთმა მარტში, ათენში მოულოდნელად წააგო თურქეთთან 1:4 და მხოლოდ სამი ქულა კი არა, ათენიც „დაკარგა“. ფანების ცუდი საქციელის გამო უეფამ დედაქალაქის სტადიონს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ევროპის ჩემპიონები დღეს უნგრეთს კუნძულ კრეტაზე უმასპინძლებენ, ისევე, როგორც ოთხშაბათს მოლდოვას.

„ორი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის და ექვსი ქულა გვსურს — თქვა გეორგიოს კარაგუნისმა — ევროპის ჩემპიონატზე უნდა მოვხვდეთ, სულ ერთია, პირველ ადგილზე გავალთ თუ მეორეზე.“

ბერძნებს ცენტრალური მცველი ტრაიანოს დელასი დააკლდებათ და საეჭვოა მარცხენა მცველ ტაკის ფისასის თამაშიც, რომელსაც ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა. მის ადგილს პანიონიოსელი ნიკოს სპიროპულოსი დაიკავებს, რომელმაც ამ სეზონში ძალიან კარგად ითამაშა და ნაკრებში პირველად გამოიძახეს.

უნგრეთის ნაკრებში კი არეულობაა. მწვრთნელ პეტერ ვარჰიდის ისედაც არ აკლდა პრობლემები ტრავმირებული ფეხბურთელების გამო, ხოლო ოთხშაბათს შაბოლც ჰუშტის აჯანყებაც დაემატა. „ჰანოვერის“ ფორვარდმა თვითნებურად მიატოვა ბაზა, როცა შეიტყო, რომ მწვრთნელი ძირითადში დაყენებას არ უპირებს.

„ცხადია, საბერძნეთი ფავორიტია, მაგრამ ჩვენსას ვეცდებით — თქვა ვარჰიდიმ — ჩემი ფეხბურთელები მზად არიან.“

ჯგუფის ლიდერი, ჯერაც დაუმარცხებელი თურქეთი კი ბოსნიას ესტუმრება.

„პირველი ტაიმი მოიგეთ და მერე ალარ ვიდარდებ — უთქვამს ფათიჰ თერიმს ფეხბურთელებისთვის — დარწმუნებული ვარ, რომ შესვენებამდე თუ დავწინაურდით, სამ ქულას ავიღებთ.“

თურქებს მეჰმეთ ტოპუზი, ემრე ბელოზოღლუ, თუმერ მეთინი და გოქან უნალი დააკლდებიან. თერიმს ყველაზე მეტად თუნჯაი შანლისა ეიმედება, რომელმაც ბოლო 6 მატჩში 4 გოლი შეაგდო.

მასპინძელთა თავკაცმა ფუად მუზუროვიჩმა განაცხადა: „ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ ერთი ქულისთვის არ ვითამაშებთ, მხოლოდ მოგება გვინდა.“

ბოსნიელთა ნაკრების კაპიტანი მისიმოვიჩი კი, რომელიც ბუნდესლიგაში თამაშობს, ყველაზე მეტად ჰალილ ალტინტოპს და ილდირაი ბაშთურქს უფრთხის.

ეს გუნდები ერთმანეთს მეორედ ხვდებიან: პირველად სარაევოში 2000 წლის 16 აგვისტოს ითამაშეს და მასპინძლებმა 2:0 იმარჯვეს.

ჯგუფის მესამე მატჩში ნორვეგია ალბათ შეძლებს მალტის დამარცხებას, მიუხედავად იმისა, რომ ოლე გუნარ სოლსკიაერი დააკლდება. „მანჩესტერის“ ფორვარდს ისევ ის მუხლი აწუხებს, რომელმაც კარიერის განმავლობაში სეზონები გამოატოვებინა. მის ნაცვლად აგე ჰარეიდემ ასტონვილელი იონ კარეუ გამოიძახა, თუმც მწვრთნელი იმედოვნებს, რომ უნგრეთთან მატჩისთვის სოლსკიაერი მომჯობინდება.

ნორვეგიის ნაკრებმა მალტამდე ლექციის მოსასმენადაც გამონახა დრო. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა იონას გარ სტოურემ ფეხბურთელებს წაუკითხა ლექცია თემაზე: „ნორვეგიის იმიჯი მსოფლიოში და სპორტი, როგორც ხალხთა მეგობრობის საშუალება“.

სამინისტროს განცხადებით, ამ შეხვედრის იდეა ფეხბურთის ფედერაციას ეკუთვნის, ლექციას კი ჟურნალისტები არ დაასწრეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### C ჯგუფი

**ბოსნია — თურქეთი**
**ნორვეგია — მალტა**
**საბერძნეთი — უნგრეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:3 | 13 |
| საბერძნეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| ბოსნია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| ნორვეგია | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 7 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| მალტა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 2 | 4 | 3:13 | 2 |

### A ჯგუფი

**ყაზახეთი — სომხეთი**
**აზერბაიჯანი — პოლონეთი**
**ფინეთი — სერბეთი**
**ბელგია — პორტუგალია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:5 | 16 |
| პორტუგალია | 6 | 3 | 2 | 1 | 13:4 | 11 |
| სერბეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| ფინეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 11 |
| ბელგია | 6 | 2 | 1 | 3 | 4:8 | 7 |
| ყაზახეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:13 | 4 |
| სომხეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:6 | 1 |

### D ჯგუფი

**უელსი — ჩეხეთი**
**გერმანია — სან მარინო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 21:3 | 13 |
| ჩეხეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:4 | 13 |
| ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| სლოვაკეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 15:11 | 9 |
| უელსი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:9 | 6 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:16 | 4 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1:31 | 0 |

### E ჯგუფი

**რუსეთი — ანდორა**
**მაკედონია — ისრაელი**
**ესტონეთი — ხორვატია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 13 |
| ისრაელი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:6 | 11 |
| ინგლისი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:2 | 11 |
| რუსეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 11 |
| მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| ესტონეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:10 | 0 |
| ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 1:22 | 0 |

### G ჯგუფი

**ბელარუსი — ბულგარეთი**
**ალბანეთი — ლუქსემბურგი**
**სლოვენია — რუმინეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 14 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ბულგარეთი | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| ბელარუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:11 | 7 |
| სლოვენია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 7 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 4 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:9 | 0 |



AFP

## ბებერო, შე მეცნიერო!

### ესპანეთი თავზეც ფიქრობს და სხვაზეც

**თუ** ესპანეთმა დღეს ლატვიასთან გაიმარჯვა და ოთხშაბათსაც ლიხტენშტაინთან რაიმე სისულელე არ ჩაიდინა, სავსებით შესაძლებელია, კასტილიელები F ჯგუფის ლიდერებადაც მოგვევლინონ.

ჯგუფს ახლა 13 ქულით ჩრდილოეთ ირლანდია თაოსნობს, თუმცა კელტებს ევროშესარჩევი მატჩები აგვისტომდე არ უწევთ, მეორეადგილოსან შვედეთს კი კოპენჰაგენში ურთულესი ჯახი ელის დანიასთან და ჩრდილოელთა წაბორძიკების შემთხვევაში ლუის არაგონესის ბიჭებს ლიდერობის კარგი შანსი აქვთ.

ერთი სიტყვით, მადრიდში ახლა საკუთარ ფიესტას და კონკურენტთა წაბდენას არნახული ინტერესით ელიან — ხუმრობა ხომ არ არის, სასწორის პინაზე ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ძევს.

„ესპანეთმა ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპი კუსავით მძიმე ნაბიჯებით დაიწყო, თუმცა ახლა ქარივით წინ გაჭრაც შეგვიძლია, საამისოდ ძალა შეგვწევს“ — დაწერა „მარკამ“ გუშინ.

„ფურია როხას“ კი შესარჩევში ბელფასტური და შვედური კოშმარების შემდეგ მართლაც ძალიან გაუჭირდა. გუნდი საშინელ კრიზისში იყო და ლუის არაგონესზე გაცოფებული ინჩასები „ძირს ბებერი! ბებერი მოგვაშორეთ!“ — გაჰყვიროდნენ. თუმცა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა მიგელ ანხელ ვილიარმა „ბებერი“ არსად გაუშვა, გუნდიც გამოცოცხლდა და ქომაგებიც ასე თუ ისე დაწყნარდნენ.

პირველად იყო შესანიშნავი ამხანაგური მატჩი ინგლისთან, რომელიც „ფურია როხამ“ 1:0 მოიგო. დღეს მანჩესტერულ შეხვედრას „კამპ ნოუს“ „ბარსა“ — „რეალის“ უცნაურშედეგიან ჯახს ადარებენ — კრიზისში მყოფი „რეალი“ მოსისხლეს ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნთან“ წაგების შემდეგ ესტუმრა. ყველა ფიქრობდა, სამეფო თეთრები კატალონიაშიც შერცხვებიანო, თუმც „რეალმა“ მტერთან 3:3-ის მიღწევა შეძლო. ფაბიო კაპელოს გუნდის სასწაულებრივი გამოცოცხლებაც „ბარსასთან“ მატჩის მერე დაიწყო, ისევე, როგორც არაგონესის ბიჭების გამოღვიძება ინგლისის შემდეგ.

ესპანეთმა დაამარცხა დანია (2:1), თუმცა სამხრეთელებმა მეორე ტაიმში გვარიანად იწვალეს. შემდეგ კი ისლანდია ესტუმრა, რომელიც თავსხმა წვიმაში დიდებულად მობურთავე ანდრეს ინიესტას კენტმა გოლმა მოსპო. ლუის არაგონესმა კი აბუჩადამგდები „ბებრის“ შემდეგ ქომაგობაში კვლავ ძველი, საპატიო მეტსახელი „ელ საბიო“, ანუ „მეცნიერი“ დაიბრუნა...

„წაგება და დაცემა გვეყო. გუნდი საომარ განწყობაზეა და ქულების განიავებას აღარ აპირებს. როგორც მე, ისევე თითოეულ ჩემს ფეხბურთელს ევროპის ჩემპიონატი ესპანეთის ნაკრების გარეშე ვერაფრით წარმოუდგენია. ასე რომ, რიგაში მარტო მოსაგებად ჩავალთ“ — განაცხადა სამხრეთელთა მხცოვანმა მწვრთნელმა.

„ფურია როხას“ ლატვიაში ფერნანდო ტორესი დააკლდება. „ელ ნინიომ“ ტრავმა მიიღო — ნაკრების ვარჯიშზე თანაგუნდელი სერხიო რამოსი შეეჯახა და მწყობრიდან გამოიყვანა.

ტორესი ვერც ლატვიასთან იბურთავებს და ვერც ლიხტენშტაინთან.

არ იქნება რაული, ვისაც არაგონესი ჯიუტად არ აბრუნებს ნაკრებში. რაულის არყოფნა გვარიანი სირცხვილიაო — უთხრა პრესას გონსალეს ბლანკოს თანაგუნდელმა ხოსე მარია გუტიმ.

ისე, დონ ლუისი ნაკრებში არც გუტიერესს იწვევს...

ლატვიას ევროპაზე მოხვედრის მიზერული შანსი აქვს, ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბალტიელებმა სტუმრებს იოლი გასეირნება მოუწყონ.

„ახლა ევრო 2008-ზე მოხვედრაზე ფიქრიც გვიჭირს, თუმცა ესპანეთთან მაინც ძლიერად უნდა ვითამაშოთ, რათა გულშემატკივრებმა იმედი არ დაკარგონ. ყველაფერს გავაკეთებთ მოსაგებად, მოედანზე ძვლების დატოვებაც რომ დაგვჭირდეს, ამაზეც წავალთ“ — აღნიშნა ლატვიის ნაკრების სათავეში დაბრუნებულმა ალექსანდრს სტარკოვსმა. ეს კაცი თავის ქვეყანაში ეროვნულ გმირადაა აღიარებული — სტარკოვსმა ბალტიური ნაკრები პორტუგალიურ ევრო 2004-ზე გაიყვანა.

ლატვიელებს ტრავმები არ აწუხებთ, ძირითადი შემადგენლობა ჯანზეა და ვინძლო, დიდი დაძაბული ჯახი შედგეს რიგაში.

**ლადო ხომერიკი**

### F ჯგუფი

**ისლანდია — ლიხტენშტაინი**
**დანია — შვედეთი**
**ლატვია — ესპანეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:7 | 13 |
| შვედეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 12 |
| ესპანეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| ლატვია | 4 | 1 | 0 | 3 | 4:3 | 3 |
| ისლანდია | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:15 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიცილიიდან მოსკოვში

**ედისონ კავანის** სანაცვლოდ მოსკოვის ცსკა „პალერმოს" 12 მილიონ ევროს სთავაზობს. სიცილიურმა კლუბმა ურუგვაელი ფორვარდი იანვარში „დანუბიოსგან" იყიდა. 20 წლის კავანი სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე 7 გოლით ბომბარდირი გახდა.

„პალერმომდე" მისი შეძენა მადრიდის „რეალს", „მილანსა" და „იუვენტუსსაც" უნდოდათ.

## ანელკას ლიგა უნდა

**„დეილი მირორის"** ცნობით, „მანჩესტერს" „ბოლტონიდან" ნიკოლა ანელკას ყიდვა სურს. 28 წლის ფრანგ ფორვარდს ჩემპიონთა ლიგაში თამაში უნდა და კლუბის გამოცვლაზე თანახმაა.

ანელკა „ბოლტონში" შარშან ზაფხულს „ფენერბაჩედან" გადავიდა. სეზონის დასაწყისში გაუჭირდა, მაგრამ მერე მიზანი გაისწორა და 13 გოლი გაიტანა.

## საჰა ექვსად

**„მანჩესტერის"** ფრანგ ფორვარდ ლუი საჰათი „ტორინო" დაინტერესდა. ალექს ფერგიუსონს საჰას გუნდში დატოვება აღარ სურს, რადგან ფეხბურთელი ყოველ უბრალო ტრავმაზე წუწუნებს. ტურინელები „მანჩესტერს" ექვს მილიონ გირვანქას შესთავაზებენ.

ფრანგის ყიდვა „ტოტენჰემსა" და „ლიონსაც" უნდათ.

## მანსინი გაიხსენეს

**„რომას"** ბრაზილიელი ნახევარმცველი ამანტინო მანსინი, შესაძლოა, „ლივერპულში" აღმოჩნდეს. პრემიერლიგურ კლუბს მისი გადაბირება ორი წლის წინაც უნდოდა.

მანსინის „რომასთან" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება ჯერ არ დაუწყია და „ლივერპულიც" მის ყიდვას აპირებს.

## ლაციომ ჩამოწერა

| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 156 | ავსტრალია-ურუგვაი | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 15:00 | 157 | სამხრეთ კორეა-ჰოლანდია | 3.45 | 3.20 | 2.00 | 1.66 | 1.26 | 1.23 |
| 22:30 | 159 | შვეიცარია-არგენტინა | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 23:45 | 160 | მექსიკა-ირანი | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 23:45 | 161 | აშშ-ჩინეთი | 1.32 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.15 | 2.86 |
| 23:45 | 162 | კოსტა რიკა-ჩილე | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | 3 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 164 | პერუ-ეკვადორი ნ | 3.20 | 3.00 | 2.20 | 1.54 | 1.30 | 1.26 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 17:30 | 170 | ბელარუსი(21)-უნგრეთი(21) | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 171 | ხორვატია(21)-ფარერები(21) | 1.05 | 9.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.20 |
| 17:45 | 172 | საბერძნეთი(21)-აზერბაიჯანი (21) | 1.15 | 5.80 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.01 |
| 18:00 | 173 | სერბეთი(21)-ლატვია(21) | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | 3 ივნისი | | | | | | |
| 15:00 | 174 | ესტონეთი(21)-ნორვეგია(21) | 4.20 | 3.30 | 1.72 | 1.84 | 1.22 | 1.13 |
| | | ჩოგბურთი ქალები Roland Garros | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 13:00 | 504 | ივანოვიჩი-ოლარუ | | | 1.05 | | | 5.50 |
| 13:00 | 505 | კუზნეცოვა-ციბულკოვა | | | 1.05 | | | 5.50 |
| 13:00 | 506 | მორესმო-საფაროვა | | | 1.50 | | | 2.20 |
| 13:00 | 507 | პეერი-სრებოტნიკი | | | 1.25 | | | 3.10 |
| 13:00 | 508 | ჩაკვეტაძე-სუგიამა | | | 1.25 | | | 3.10 |
| 13:00 | 509 | შარაპოვა-კუდრიავცევა | | | 1.02 | | | 8.00 |
| 13:00 | 510 | შნიდერი-კნაპი | | | 1.07 | | | 5.00 |
| | | ჩოგბურთი კაცები Roland Garros | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 13:00 | 513 | ბაგდატისი-ხაიეკი | | | 1.12 | | | 4.00 |
| 13:00 | 514 | ჯოკოვიჩი-პატიენსი | | | 1.05 | | | 6.00 |
| 13:00 | 515 | მოია-ბრჟეჟიცკი | | | 1.12 | | | 4.50 |
| 13:00 | 516 | ნადალი-მონტანესი | | | 1.01 | | | 9.00 |
| 13:00 | 517 | დ ფერერი-ვერდასკო | | | 1.18 | | | 3.80 |
| 13:00 | 518 | ხიუიტი-ი ნიემინენი | | | 1.30 | | | 3.00 |
| 13:00 | 519 | ო ერნანდესი-ბიორკმანი | | | 1.25 | | | 3.20 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15039 | ალავესი-ვალიადოლიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15040 | ალბასეტე-სერესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15041 | ალმერია-მალაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 | კადისი-ელჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | კასტელონი-პონფერადინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15044 | სპორტინგი-სიუდადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15045 | ჰერკულესი-ლორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15046 | ლას პალმასი-სალამანკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15047 | მურსია-რეალი(ბ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15048 | ნუმანსია-ეხიდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15049 | ტენერიფე-ვეცინდარიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15070 | ორჰუსი ფრ-ბრაბრანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | ჰელერუპი-ტისტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | ფრემი-ლიუნგბიუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | ჰერფიოლგე-ფრედერისია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | კოლდინგი-კიოგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | სიონდერიისკე-ნესტვედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | კონგსვინგერი-ბრინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | მანდალი-სოგნდალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | ნოტოდენი-სპარტა ს | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | სკეიდი-რაუფოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | ტრომსდალენი-ჰაუგესუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | ავსტრალია-ურუგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | სამხრეთ კორეა-ჰოლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | შვეიცარია-არგენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | მექსიკა-ირანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15161 | აშშ-ჩინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15162 | კოსტა რიკა-ჩილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | პერუ-ეკვადორი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | საბერძნეთი-უნგრეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | ყაზახეთი-სასომხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | უელსი-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | ისლანდია-ლიხტენშტაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | ფინეთი-სერბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | მაკედონია-ისრაელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | ბელარუსი-ბულგარეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | ბოსნია-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | დანია-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15189 | ესტონეთი-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | ლატვია-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | ბელგია-პორტუგალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | სლოვენია-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | საფრანგეთი-უკრაინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16039 | ალავესი-ვალიადოლიდი | 1.45 | 2.45 |
| 16040 | ალბასეტე-სერესი | 1.38 | 2.65 |
| 16041 | ალმერია-მალაგა | 1.23 | 3.60 |
| 16042 | კადისი-ელჩე | 1.38 | 2.65 |
| 16043 | კასტელონი-პონფერადინა | 1.25 | 3.40 |
| 16044 | სპორტინგი-სიუდადი | 1.32 | 3.00 |
| 16045 | ჰერკულესი-ლორკა | 1.24 | 3.60 |
| 16046 | ლას პალმასი-სალამანკა | 1.25 | 3.40 |
| 16047 | მურსია-რეალი(ბ) | 1.30 | 3.00 |
| 16048 | ნუმანსია-ეხიდო | 1.45 | 2.45 |
| 16049 | ტენერიფე-ვეცინდარიო | 1.23 | 3.60 |
| 16070 | ორჰუსი ფრ-ბრაბრანდი | 1.45 | 2.45 |
| 16071 | ჰელერუპი-ტისტედი | 1.50 | 2.30 |
| 16072 | ფრემი-ლიუნგბიუ | 2.45 | 1.40 |
| 16074 | ჰერფიოლგე-ფრედერისია | 2.40 | 1.45 |
| 16075 | კოლდინგი-კიოგე | 1.40 | 2.55 |
| 16076 | სიონდერიისკე-ნესტვედი | 1.32 | 3.00 |
| 16093 | კონგსვინგერი-ბრინი | 1.85 | 1.80 |
| 16094 | მანდალი-სოგნდალი | 2.45 | 1.40 |
| 16095 | ნოტოდენი-სპარტა ს | 1.45 | 2.45 |
| 16096 | სკეიდი-რაუფოსი | 1.55 | 2.20 |
| 16097 | ტრომსდალენი-ჰაუგესუნდი | 1.75 | 1.85 |
| 16156 | ავსტრალია-ურუგვაი | 1.62 | 2.05 |
| 16157 | სამხრეთ კორეა-ჰოლანდია | 2.40 | 1.45 |
| 16159 | შვეიცარია-არგენტინა | 2.40 | 1.45 |
| 16160 | მექსიკა-ირანი | 1.11 | 5.70 |
| 16161 | აშშ-ჩინეთი | 1.08 | 5.00 |
| 16162 | კოსტა რიკა-ჩილე | 1.58 | 2.10 |
| 16164 | პერუ-ეკვადორი ნ | 2.20 | 1.50 |
| 16175 | საბერძნეთი-უნგრეთი | 1.12 | 4.60 |
| 16176 | ყაზახეთი-სასომხეთი | 1.50 | 2.30 |
| 16177 | უელსი-ჩეხეთი | 3.30 | 1.25 |
| 16179 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 6.70 | 1.02 |
| 16180 | ისლანდია-ლიხტენშტაინი | 1.05 | 5.70 |
| 16181 | ფინეთი-სერბეთი | 1.95 | 1.70 |
| 16183 | მაკედონია-ისრაელი | 2.20 | 1.52 |
| 16184 | ბელარუსი-ბულგარეთი | 2.05 | 1.62 |
| 16185 | ბოსნია-თურქეთი | 2.90 | 1.32 |
| 16186 | დანია-შვედეთი | 1.58 | 2.10 |
| 16189 | ესტონეთი-ხორვატია | 5.70 | 1.11 |
| 16190 | ლატვია-ესპანეთი | 5.70 | 1.11 |
| 16191 | ბელგია-პორტუგალია | 2.90 | 1.32 |
| 16193 | სლოვენია-რუმინეთი | 2.45 | 1.40 |
| 16194 | საფრანგეთი-უკრაინა | 1.17 | 4.10 |

## გოლი:ლუწი-1ან კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17039 | ალავესი-ვალიადოლიდი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | ალბასეტე-სერესი | 1.85 | 1.95 |
| 17041 | ალმერია-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17042 | კადისი-ელჩე | 1.85 | 1.95 |
| 17043 | კასტელონი-პონფერადინა | 1.85 | 1.95 |
| 17044 | სპორტინგი-სიუდადი | 1.85 | 1.95 |
| 17045 | ჰერკულესი-ლორკა | 1.85 | 1.95 |
| 17046 | ლას პალმასი-სალამანკა | 1.85 | 1.95 |
| 17047 | მურსია-რეალი(ბ) | 1.85 | 1.95 |
| 17048 | ნუმანსია-ეხიდო | 1.85 | 1.95 |
| 17049 | ტენერიფე-ვეცინდარიო | 1.85 | 1.95 |
| 17070 | ორჰუსი ფრ-ბრაბრანდი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | ჰელერუპი-ტისტედი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | ფრემი-ლიუნგბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ჰერფიოლგე-ფრედერისია | 1.85 | 1.95 |
| 17075 | კოლდინგი-კიოგე | 1.85 | 1.95 |
| 17076 | სიონდერიისკე-ნესტვედი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | კონგსვინგერი-ბრინი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | მანდალი-სოგნდალი | 1.85 | 1.95 |
| 17095 | ნოტოდენი-სპარტა ს | 1.85 | 1.95 |
| 17096 | სკეიდი-რაუფოსი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | ტრომსდალენი-ჰაუგესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17156 | ავსტრალია-ურუგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17157 | სამხრეთ კორეა-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17159 | შვეიცარია-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17160 | მექსიკა-ირანი | 1.85 | 1.95 |
| 17161 | აშშ-ჩინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17162 | კოსტა რიკა-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17164 | პერუ-ეკვადორი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17175 | საბერძნეთი-უნგრეთი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ყაზახეთი-სასომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | უელსი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17179 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17180 | ისლანდია-ლიხტენშტაინი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | ფინეთი-სერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17183 | მაკედონია-ისრაელი | 1.85 | 1.95 |
| 17184 | ბელარუსი-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ბოსნია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17186 | დანია-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17189 | ესტონეთი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17190 | ლატვია-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ბელგია-პორტუგალია | 1.85 | 1.95 |
| 17193 | სლოვენია-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17194 | საფრანგეთი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |

# როლანგაროსი 2007

**პარიზი. 27 მაისი — 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €**



დიდებულ ფორმაში მყოფი ელენა იანკოვიჩი ვერც ვინუს უილიამსმა შეაჩერა

AFP ჰარი ზიჯიან

## უკან ვინუსი, წინ სერენა

### ელენა იანკოვიჩი უილიამსებში გაიხლართა

**გუშინ** პირველი სერიოზული ჯახის მომსწრენი შევიქენით წლევანდელ „როლან გაროსზე". არა, იმის თქმა არ გვინდა, აქამდე საინტერესო და დაძაბული მატჩები არ ყოფილაო, რადგანაც უკვე არაერთი ხუთსეტიანი ბატალია ვიხილეთ, მაგრამ აქამდე მაინც ისე იყო, რომ ერთმანეთს ან ორი ერთნაირად საშუალო დონის ჩოგბურთელი ეტაკებოდა, ანაც რომელიმე ფავორიტს საქმისადმი ზერელედ მიდგომის გამო უწევდა ერთ, ხანდახან კი ორსეტიანი ჩამორჩენის ალმოფხვრა. ამჯერად კი ერთმანეთს ერთნაირად მაღალი დონისა და პარიზში დიდი ამბიციებით ჩასული ორი ჩოგბურთელი დაუპირისპირდა, რომლებმაც მართლაც უმაღლესი დონის სანახაობა შემოგვთავაზეს.

ამას, ქალთა ბადეში ნაადრევად გადაყრილი ორი ძლიერი მეჩოგნის თამაშზე მოგახსენებთ. გუშინ ერთმანეთს ელენა იანკოვიჩი და ვინუს უილიამსი დაეჯახნენ. პირველი ტურნირის ფავორიტთა სამეულში შედის, ჯანზე მყოფი ვინუსი კი ჩამოსაწერი არასდროს არ არის და წინა ორ შეხვედრაშიც დაამტკიცა, რომ კვლავაც სერიოზულ ძალას წარმოადგენს. ამ მატჩისგან ბევრს ამიტომაც ელოდნენ, რაც გამართლდა კიდეც.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში იანკოვიჩი უკეთესად გამოიყურებოდა. სერბი გაცილებით კონსტრუქციული იყო და ცდილობდა, კომბინაციურად ეჩოგნავა. თან ელენა აშკარად დიდებულ ფიზიკურ ფორმაშია, რადგანაც მატჩის ბოლომდე გამალებული მისდევდა ნებისმიერ ბურთს. აი, ვინუსმა კი აქცენტი თავის ფიზიკურ სიძლიერეზე გააკეთა და რიგ მომენტებში ისე გახელებით ურტყამდა, რომ იანკოვიჩი მხოლოდ გაკვირვებული მისჩერებოდა ბურთს. თუმც ახალგამოჯანმრთელებულ ამერიკელს ძალები არ ეყო, რაც მისი მარცხის მიზეზადაც იქცა.

თავად მატჩი კი იანკოვიჩის აქტიურობითა და ვინუსის მიერ დაშვებული შეცდომების კორიანტელით დაიწყო. სერბმა პირველივე გეიმში გაკეთა ბრეიკი და ეს უპირატესობა სეტის ბოლომდე ადვილად შეინარჩუნა, რადგანაც უფროსი უილიამსი მიღებაზე ძალიან ცუდად გამოიყურებოდა.

აი, მეორე სეტში კი მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა, რადგანაც სიტუაციას მთლიანად ამერიკელი დაეპატრონა, რომლის უკანა ხაზიდან უძლიერეს დარტყმულებსაც იანკოვიჩი უბრალოდ ვერაფერს უხერხებდა. შედეგად, იანკი 5:2 დაწინაურდა, მაგრამ სერბის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის კინაღამ დაეწია მეტოქეს და 5:4-მდე შეამცირა სხვაობა, თუმც მეტს ვერ გასწვდა.

გადამწყვეტი პარტიისგან ყველა ისევ დაძაბულ ჯახს ელოდა, მაგრამ აქ ვინუსს დაღლა დაეტყო — ამერიკელი ძველებურად ძლიერად ველარ ურტყამდა და სირბილიც აშკარად უჭირდა. თან უილიამსი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა იანკოვიჩის გადაწყვეტილებას, რომელმაც ტემპს კიდევ უფრო მოუმატა. ჰოდა, გასაკვირი აღარაფერია იმაში, რომ ბალკანელმა მესამე სეტში მხოლოდ გეიმი აალებინა გოროზ იანკის.

„აზრადაც კი არ გამივლია, რომ შეიძლებოდა, ეს მატჩი წამეგო" — განაცხადა ნამატჩევს გახარებულმა იანკოვიჩმა, რომელიც ზედიზედ მეორე სლემტურნირია, ვინუსს ამწარებს. ბოლოს სერბმა იგივე შარშანდელ უიმბლდონზე, ასევე მესამე წრეში გააკეთა.

იანკოვიჩს ახლა სავარაუდოდ ვინუსის გახელებულ უმცროს დასთან მოუწევს შეჭიდება. სერენა გვიან ღამით მიქაელა კრაიჩეკს ხვდებოდა და იქ თუ იმარჯვებდა, დის სისხლის აღებას მეოთხე წრეში შეეცდება. თანაც უმცროსი უილიამსი ერთადერთი ამერიკელია, რომელიც პარიზში ერთეულთა თანრიგს შემორჩა.

ქალთა ბადეში კიდევ ორი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა — პარიზის დატოვება ორ განთესილს მოუწევთ. ეს უიღბლოები ნა ლი და ელენა დემენტიევა არიან. მასპინძლებს განსაკუთრებით რუსის მარცხი ესიამოვნათ, რადგანაც შემდეგ წრეში ადგილობრივი მარიონ ბარტოლი გაძვრა.

ახლა კი კაცთა ბადეში მომხდარ ამბებს მივუბრუნდეთ და როჯერ ფედერერის ჩაუქობით დავიწყოთ. როგორც ჩანს, დიად ალპელს მაინდამაინც არ სიამოვნებს პარიზული ქარიანი და საკმაოდ გრილი ამინდი, რის გამოც კორტზე დიდი ხნით დარჩენა არც ამჯერად ინდომა და პოტიტო სტარაჩეს საათნახევრზე ოდნავ მეტში გამოუყვანა წირვა.

იტალიელმა მხოლოდ მეორე სეტში გაიფაფხურა და 3:3-მდეც მეტნაკლებად თანაბრად იბრძოლა. ამან „მხიარული როჯერი" ისე გაამწარა, რომ საბრალო აპენინელს სახის შენარჩუნების შანსიც არ მისცა და ზედიზედ 9 გეიმის მოგებით საქმე მალე მოამთავრა.

ფედერერს ახლა პირველი სერიოზული გამოცდა ელის მიხაილ იუჟნისთან. ამ რუსს წლეულს კარიერის საუკეთესო სეზონი აქვს და ამას საქმითაც ამტკიცებს — აგერ „როლან გაროსის" ექსჩემპიონ ხუან-კარლოს ფერეროს საკმაოდ დამაჯერებლად გაუმკლავდა. მეორეს მხრივ, დღევანდელი ფერერო ახლოსაც კი არ არის იმ ფორმასთან, რომელმაც პირინეელს სლემტურნირი მოაგებინა. უკანასკნელი წლებია, ესპანელს ღირებული არაფერი გაუკეთებია და აგერ, პარიზიც ასე უსახელოდ დატოვა.

სამაგიეროდ, იუჟნი მოსულა დიდ გულზე და ფედერერს ნამდვილი ბრძოლის გამართვას ჰპირდება. თუმც რუსს რისი იმედი აქვს, ძნელი სათქმელია, რადგანაც პირად შეხვედრებში შვეიცარიელი 9:0-ს უგებს. ასეთი წინდაუხედავი სიტყვებით კი იუჟნი „მხიარულ როჯერს" ნაღდად ვერ შეაშინებს, პირიქით, შეიძლება, გააბრაზოს. გაბრაზებული შვეიცარიული მანქანის ქვეშ მოყოლა კი მტრისას.

მოულოდნელობის გარეშე არც გუშინდელ დღეს ჩაუვლია — პარიზს გამოეთხოვა შარშანდელი ნახევარფინალისტი ივან ლიუბიჩიჩი. ეს ხორვატი წლეულს ჩვეულზე უარესად რომ გამოიყურება, არაერთხელ აღვნიშნეთ. ამიტომაც მისგან ექსტრაორდინალურს არც არავინ ელოდა, თუმც ფილიპო ვოლანდრისთან მარცხი მაინც მოულოდნელი გახლდათ, მით უმეტეს მაშინ, როცა ლიუბიჩიჩი მეტოქეს სეტებში 2:1-ს უგებდა.

ადგილობრივთა ბოლო იმედი კი დავიდ ნალბანდიანმა ჩაკლა. უთამაშებლობის მიუხედავად, ეს არგენტინელი მაინც ჩვეულად მაღალ დონეზე ჩოგნაობს. ამჯერად პატაგონიელი გაელ მონფილზს დაძაბულ და ლამის ოთხ საათზე გაწელილ ომში მოერია, რითაც ნიკოლაი დავიდენკოსთან რანდევუ გამოიწერა.

**ბახა ლომჯიშვილი**

#### კაცები

#### მეორე წრე

**პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 3:6 6:4 6:1 7:6; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:3 3:6 6:3 7:5

#### მესამე წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:2 6:3 6:0; **მიხაილ იუჟნი** (13, რუსეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (17, ესპანეთი) 6:7 7:6 6:2 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4 6:2 6:4; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — ედუარდ როჟე-ვასელენი (საფრანგეთი) 6:4 6:2 6:4; ფილიპო ვოლანდრი (29, იტალია) — ივან ლიუბიჩიჩი (7, ხორვატია) 6:4 6:7 4:6 6:3 6:4; **ტომი რობრედო** (9, ესპანეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:3 6:4 6:2; **გილერმო კანასი** (19, არგენტინა) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 6:2 6:2 2:6 6:3 დავიდ ნალბანდიანი (15, არგენტინა) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) 7:6 5:7 6:4 7:6

#### ქალები

#### მეორე წრე

**დანიელა ჰანტუხოვა** (12, სლოვაკეთი) — ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) 7:6 6:3

#### მესამე წრე

**სიბილ ბამერი** (20, ავსტრია) — ნა ლი (16, ჩინეთი) 6:4 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (4, სერბეთი) — ვინუს უილიამსი (26, აშშ) 6:4 4:6 6:1; **ტატიანა გარბინი** (19, იტალია) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:3 6:0; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (6, ჩეხეთი) — სამანტა სტოსური (27, ავსტრალია) 6:4 6:4; **მარიონ ბარტოლი** (18, საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (13, რუსეთი) 6:2 6:4; **ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — მარა სანტანჯელო (29, იტალია) 6:2 6:3; **დინარა საფინა** (10, რუსეთი) — ფრანჩესკა შიავონე (23, იტალია) 3:6 6:3 6:1; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — მიკაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:3 6:4

## ყავლაშვილმა ნახევარფინალი თქვა

### შაფათავა და შაფაქიძე შაბათამდე ვერ მივიდნენ

**სტამბოლში** მიმდინარე ქალთა 10-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალს ერთბაშად სამმა ჩვენებურმა უწია — სოფო შაფათავას და მანანა შაფაქიძეს თინა ყავლაშვილიც შეუერთდა, რომელმაც მეორე წრეში სლოვენიელი მაია კამბოჩი 6:3 6:3 დაამარცხა.

სამწუხაროდ, შაფათავამ და შაფაქიძემ უფრო მეტის გაკეთება ველარ შეძლეს დე მეოთხედფინალში დამარცხდნენ. ის კი სათქმელია, რომ ქართველებს მეტოქეებიც ძლიერნი, განთესვის მოწინავენი ჰყავდათ. თავად მე-8 ნომრად განთესილი შაფაქიძე 2:6 3:6 დამარცხდა შეჯიბრის პირველ ნომერთან, 21 წლისა და რეიტინგში 462-ე ადგილზე მყოფ გერმანელ რია დოერნემანთან. მე-7 ნომრად განთესილ შაფათავას კი მე-2 ნომერმა, კლასიფიკაციაში 638-ე ადგილზე მყოფმა, თურქმა კაგლა ბუიუკაქჩაიმ დაძაბულ სამსეტიან ბრძოლაში აჯობა — 6:4 1:6 7:6.

რაც შეეხება ყავლაშვილს, მეოთხედფინალში მისი მეტოქე მე-4 ნომრად განთესილი ბერძენი, რეიტინგის 599-ე საფეხურზე მყოფი ანა კოუმანტუ. იყო, ვისაც ქართველმა 6:0 6:1 გადაუარა, ნახევარფინალში გააღწია და იქ შაფაქიძის მძლეველ დოერნემანს შეხვდება.



დავიდ ნალბანდიანმა ფრანგების ბოლო იმედი მოკლა

AFP ჰარი ზიჯიან

ჭიდაობა

# კურტანიძის ნაკრებს ბალავაძე გადაწყვეტს

## აზერბაიჯანი სათუოა, გერმანია ნაღდი



ლუკა კურტანიძე აქტიური სპორტიდან ოფიციალურად წასვლას ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირზე რომ გეგმავს, ახლახან თავად აუწყა სპორტულ სამყაროს. მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ თბილისურ ხალიჩაზე კიდევ ერთხელ გასვლა გულშემატკივრებთან გამოსამშვიდობებლად და მათთვის მადლობის სათქმელად გადაწყვიტა, თუმცა არ გაგიკვირდეთ, თუ სექტემბერში ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატზეც იჭიდავა. აზერბაიჯანში გაჩემპიონების შემთხვევაში კი ეგებ ნანატრ ოლიმპიურ ოქროსაც შეუტიოს.

„ხალხის მხრიდან სიყვარულს და მხარში ამოდგომას ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ბოლო დღეებში მათგან მიღებულ სითბოს ვერაფერი შეედრება — გვითხრა გუშინ კურტანიძემ — ქუჩაში მაჩერებენ და მთხოვენ, კიდევ გავახარო გულშემატკივარი. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ კი პირდაპირ მითხრა, თუ ბალავაძის ტურნირს მოიგებ და ნაკრებისთვის საჭირო იქნები, ბაქოში წასვლას კატეგორიულად მოგთხოვო. მასაც და თითოეულ გულშემატკივარსაც უდიდეს პატივს ვცემ და თუ ჩემს თავსაც შევატყობ, რომ საქართველოსთვის სარგებლის მოტანა შემეძლება, ეგებ ამ ნაბიჯზეც დავფიქრდე. თუმცა ახლა ნაკრებში მოხვედრასა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მეტად ხალხთან ღირსეულად გამომშვიდობებაზე ვფიქრობ."

საერთაშორისო ხალიჩაზე გასვლის პერსპექტივა თუ ჯერ ბუნდოვანია, სამაგიეროდ, უკვე გარკვეულია, რომ წლის ბოლოს ლუკა კურტანიძე გერმანიაში გაემგზავრება და საჭიდაო კლუბ „ალენის" მწვრთნელ-კონსულტანტობას შეუდგება. შეთავაზება თავად კლუბის პრეზიდენტისგან, ვოლფგანგ კვინტერისგან ჯერ კიდევ წასვლის შესახებგანცხადების გაკეთებამდე მიუღია. ამ დღეებში კი გერმანიიდან კონკრეტული წინადადებით შეხმიანებიან. კურტანიძე „ალენში", სავარაუდოდ, ნოემბრის დასაწყისში გაემგზავრება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კალათბურთი



# გიორგი ცინცაძე როკს არ ეშვება

**გიორგი ცინცაძე პირველია ქართველ ლეგიონერთაგან, რომელიც წლეულს ჩემპიონი გახდა. მისმა „როკმა" ესტონეთის პირველობის ფინალურ სერიაში ტალინური „კალევი" 4:1 დაამარცხა და ოქროს დაეპატრონა. ცინცაძე ჩინებულად ჩატარებულ სეზონს წერტილს მოხდენილად უსვამდა, მაგრამ უწყინარ სიტუაციაში ტრავმა მიიღო და ფინალის ბოლო სამი მატჩი ველარ ითამაშა. საჩემპიონო სერიის მანამდელ შეხვედრებში გიო ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო ტარტუელთაგან და თუმც ბევრს არ აგდებდა, მისით „როკერები" დიდად ხეირობდნენ. ცინცაძეს გუშინ ტარტუში შევეხმიანეთ და საჩემპიონო ამბები გამოვკითხეთ**

— მთელი ქალაქი ზეიმობს ჩვენს ჩემპიონობას. ტარტუ პატარა ქალაქია და ეს ტიტული მათთვის უდიდესი წარმატებაა. ვერ გადმოგცემთ იმ საზეიმო განწყობას, რაც ჩვენი გამარჯვების შემდეგ სუფევდა. ქალაქის მთავარ მოედანზე შეიკრიბა აუარება ხალხი, თითქმის ყველა ჟურნალისტიც იქ იყო და ერთად ზეიმობდნენ „როკის" წარმატებას.

— გამარჯვება გუნდმა როგორ აღნიშნა?

— გავხდით თუ არა ჩემპიონები, პირდაპირ რესტორანში წავედით, სადაც საზეიმო ბანკეტი მოეწყო და უამრავი შამპანური დაილია. მაგრამ ეს რა იყო, გართობა და დროსტარება მერე უნდა გენახა. რესტორნიდან მოთამაშეებმა ღამის კლუბში გადავინაცვლეთ და დილამდე გავერთეთ. ერთი სიტყვით, ძალიან მაგარი დრო გავატარეთ, რაც მთელი სეზონი რეჟიმში ვიყავით და ოფლს ვიდენდით, იმ საღამოს ავინაზღაურეთ.

— ეს ჩემპიონობა ალბათ უფრო გასახარი იქნებოდა, ფინალური სერიის ბოლო მატჩებში რომ გეთამაშა...

— ეგ თავისთავად, მაგრამ არც ახლა ვარ ნაკლებად გახარებული, რადგან ფინალის პირველი სამი მატჩი ვითამაშე და საკმაოდ შედეგიანადაც. ორჯერ 6-6 ქულა ჩავაგდე, ერთხელაც — 9, თანაც ეს ქულები ძალიან მნიშვნელოვანი იყო „როკისთვის". პრესა ძალიან დადებითად გამოეხმაურა ჩემს გარჯას და თითქმის ყველა გაზეთი და ტელევიზია იმას იუწყებოდა, რომ ცინცაძემ აუცილებლად ბევრი უნდა ითამაშოსო.

— ბევრი კი არა, სულაც ტრავმა მიიღე. გავიგეთ, რომ მოედანზე არ დაშავებულხარ...

— მესამე თამაში ძალიან დრამატული ბრძოლაში, ქულით მოვიგეთ. გერტ კულამდემ ბოლო წამზე ჩააგდო სამიანი და ყველას ისე გაგვიხარდა, ერთმანეთს ვახტებოდით. მე ტრავმა გასახდელის შესასვლელში მივიღე, როცა ჩემი თანაგუნდელი ტანელ ტეინი გამოექანა გამარჯვების მოსალოცად და შემთხვევით ფეხი მუხლში მომარტყა.

— ასე სერიოზულად იტკინე, რომ სამი თამაში გაგიცდა?

— მართალია, სერიოზული ტრავმა არაა და მალე უკვე შემეძლება თამაში, მაგრამ ფინალური მატჩები ერთი დღის გამოტოვებით იმართებოდა და რეაბილიტაცია ვერ მოვასწარი.

— ახლა რას აპირებ?

— კვირას თბილისში ჩამოვალ და დავისვენებ სანაკრებო ვარჯიშების წინ. მანამდე აქ გავარკვევ საქმეს, რადგან კონტრაქტი დამთავრდა და, სავარაუდოდ, ახალს გავაფორმებ. მეც მინდა „როკში" დარჩენა და აქაურებიც დაინტერესებულნი არიან. იმედია, შევთანხმდებით და მომავალ სეზონსაც აქ გავატარებ.

— თუ „როკს" ვერ შეუთანხმდი, სხვა ვარიანტებიც გაქვს?

— მაქვს რუსული, ჰოლანდიური და ჩეხური გუნდების შემოთავაზება, მაგრამ მე „როკში" დარჩენა მიჯობს. რუსეთში პრინციპულად არ მინდა თამაში, ამ ქვეყნის კლუბებსგან მე საკმარისი წყენა მახსოვს. ვარაუდები არ მინდა, რადგან დიდი შანსია, ისევ „როკში" დავრჩე.

**ირაკლი პერტაია**

მძლეოსნობა

# სტეფანო ბალდინი პეკინისკენ იყურება




**ათენის** ოლიმპიადის ჩემპიონი, მარათონელი სტეფანო ბალდინი მთელი სეზონით დასვენებას გეგმავს. 36 წლის იტალიელი ამბობს, რომ შერყეული ჯანმრთელობა აიძულებს, ცოტა ხანი იუქმოს და ძალები აღიდგინოს, რათა 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე ტიტულის დაცვა შეძლოს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს უძლიერესი „თეთრი" მარათონელი მონაწილეობას ვერ მიიღებს ამ ზაფხულს იაპონურ ოსაკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბალდინი საკმაოდ ტიტულიანი მორბენალი გახლავთ, შეიძლება ითქვას, აფრიკელებს — კენიელებსა და ეთიოპიელებს — ევროპიდან ის ერთი თუ უწევს კონკურენციას. მოუგია 1998 და 2006 წლებს ევროპის ჩემპიონატები, 2001 და 2003 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი საპატიო ბრინჯაოს მედალი მოუპოვებია. მაგრამ წლეულს ვეტერანი იტალიელი თავს ძველებურად მსუბუქად ვერ გრძნობს, წინა უქმეებზე უდინეში გამართულ ნახევარმარათონზე მხოლოდ მეშვიდე იყო, ერთი-ორჯერ მაგრადაც გაცივდა და ყველაფრის გათვალისწინებით, წლეულს დასვენება გადაწყვიტა.

„მე ყოველთვის ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემს სამშობლოს წარმოვადგენდი დიდ ტურნირებსა და ჩემპიონატებზე. კარგა ხანი ვფიქრობდი და ბოლოს, ამ სეზონში დასვენება გადავწყვიტე, რათა მომავალ წელს კარგ ფორმაში შევხვდე და კიდევ ერთხელ მომეცეს საშუალება, ოლიმპიადაზე ჩემს ქვეყანას ოქრო მოვუტანო."

**ქოტე ყორშია**

# კუბაზე დიდი კალია იზრდება

**კუბა** რომ თამბაქოს, მუსიკის, სექსისა და სპორტის ქვეყანაა, ყველამ გადასარევად ვიცით. მაგრამ სიგარებზე, „ბუენა ვისტა სოციალ კლუბის" ჯადოსნურ ჰანგებსა და მაცდურად მოქნავე შოკოლადივით გოგონებზე სხვა დროს და სხვაგან ვისაუბროთ, ახლა კი ერთ ყოჩაღ სპორტსმენზე ვთქვათ ორი აბზაცი.

უნიჭიერესი მძლეოსანი ეზრდება ფიდელის კუნძულს. 20 წლის დეირონ რობლესს ჯერ ძვალ-სახსარი არ გამაგრებია და მისი სხეული ზრდის სტადიაშია, ის კი უკვე თანდათან მსოფლიოს საუკეთესოებს ეპარება თავის დისციპლინაში. რობლესი 110 მეტრზე თარჯმორბენალი გახლავთ და ორი დღის წინ ჰავანაში გამართულ შიდა კუბურ ტურნირზე გადასარევი შედეგი აჩვენა — ეს დისტანცია 13,17 წამში დაფარა და ერთხელაც გააფრთხილა მსოფლიოს რეკორდსმენი, ჩინელი ლიუ სიანი და 110-მეტრი თარჯრბენის ამერიკელი კალიები, მეც აქა ვარ და მალე თარჯებთან ერთად თქვენც უკან მოგიტოვებთო.

მსოფლიოს რეკორდი, რომელიც ლიუ სიანმა შარშან დაამყარა, 12,88 წამი გახლავთ. რობლესი და მისი მწვრთნელი სანტიაგო ანტუნესი უკვე წლეულს გეგმავენ 13 წამიდან „ამორბენას".

**ქოტე ყორშია**

PLAYOFFS 2007

# ბიჭია ადამიანი?!

## ლებრონ ჯეიმსი ისტორიას წერს

31 მაისი

### აღმოსავლეთის ფინალი

**დეტროიტი 2:3 კლივლენდი**

**დეტროიტი 107:109 კლივლენდი**

*ძირითადი დრო 91:91*

**დეტროიტი:** ბილაფსი (21), ჰამილტონი (26), პრინსი (10), ვოლესი (17), ვებერი (20); მაქსეილი (9), მაკდაიესი (2), ჰანტერი (2), დელფინო, დევისი

**კლივლენდი:** პავლოვიჩი (6), ჰიუზი (9), ჯეიმსი (48 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), გუდენი (7), ილგაუსკასი (16); გიბსონი (11), ვარეჯაო (9), ჯონსი (3), მარშალი, სნოუ, პოლარდი



ლებრონ ჯეიმსი მთელ „დეტროიტს“ თავზე გადაახტა

AFP

**22 წლის** ლებრონ ჯეიმსი იმ საღამოს ერთადერთხელ დაემსგავსა კაცს და ადამიანს, როცა თამაში დამთავრდა და მისი სიხარული „დეტროიტ პისტონზის“ დარბაზის ჭერს მისწვდა. მანამდე ის არ იყო ადამიანიო, ასე წერენ ჩვენი ოკეანგაღმელი კოლეგები.

„დაახლოებით 20 წლის წინ დაახლოებით მისავე ასაკის მაიკლ ჯორდანმა 63 ქულა ჩააგდო და პლეი ოფის პირველ წრეში ლამის მარტომ მოუგო ლეგენდარული ლარი ბერდის „ბოსტონ სელტიქსს“. მაშინ ლარიმ თქვა — დღეს ამ ბიჭის ხელით ღმერთი გვეთამაშებოდაო.

ჯეიმსი ჯორდანი ნამდვილად არაა და არც იმ ძველი და მადლიანი ეპოქის შვილია, მაგრამ ის უკვე დიდი მოთამაშეა და, ისევე როგორც 80-იანების ის ვარსკვლავები, ესეც თავისი დროის ისტორიას წერს.

„დეტროიტის“ დეტროიტში ძლევა კონფერენციის ფინალის მეხუთე მატჩში. ამას ბევრი კი არა ცოტაც ვერ შეძლებს, ლებრონ ჯეიმსმა კი შეძლო. დეტროიტელი ქომაგები ინტერნეტ-ფორუმებში ნამატჩევს ნაძალადევად ხალისობდნენ — ერთი რამით მაინც გავიხარებთ: ჩვენმა გუნდმა წააგო, მაგრამ ჩვენ ლეგენდის დაბადებას ხომ მაინც შევესწარითო.

48 ქულა თამაშში, თავისი გუნდის ბოლო 25 ქულა პირად ანგარიშზე, ორი ოვერტაიმი, სადაც „კლივლენდის“ ყველა ქულა (9+9) მან ჩააგდო და, რაც მთავარია, გამარჯვება! ეს თამაში უდავოდ საუკეთესო იყო წლევანდელ პლეი ოფში, ლებრონ ჯეიმსი კი ამ თამაშის ერთადერთი გმირი. სხვები, განსაკუთრებით კი თავისიანები, უყურებდნენ, ეს კი თამაშობდა და მარტო ებრძოდა „დეტროიტს“, რომელსაც მთელ ნბა-ში ყველაზე გაწონასწორებული ხუთეული ჰყავს და ხუთივემ გადასარევად რომ ითამაშა, ეს კიდევ უფრო ალამაზებს ახალი თაობის უაშკაშესი ვარსკვლავის საუკეთესო თამაშს.

ეს იყო ნამდვილი შეტაკება — ვესტერნებში ერთი მარჯვე კაცი ყველას რომ დააწვენს, იმას ჰგავდა. ლებრონი ყველაფერს ლაზათიანად აკეთებდა, ურთულეს ბურთებს ერთმანეთის მიყოლებით ყრიდა, თან ისეთი უდრტვინველი და უემოციო სახით, თითქოს ქუჩაში ძაღლს ასეირნებსო. მარტო იყო, მაგრამ ყველაფერს ასწრებდა.

„დეტროიტი“ მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 3.15 წუთით ადრე 7 ქულით იგებდა, როცა ჯეიმსმა „დაიწყო“! მან ამ მეოთხედში თავისი გუნდის ბოლო 12 ქულიდან 11 თავად ჩააგდო. დამხმარე ბევრიც არავინ ჰყავდა, „კლივლენდს“ ისედაც არ ჰყავს ძლიერი შემადგენლობა და იმ საღამოს ორივე 10 ქულას აცილებული მოთამაშე (ცხადია, ჯეიმსი არ „გაგვყავს“ 10-ქულიანებში) ილგაუსკასი და გიბსონი, დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე გაუვარდა პერსონალურების ლიმიტის ამოწურვის გამო. დეტროიტელები ვერაფერს უხერხებდნენ მის გარღვევებს, ისიც წინ მიიბრძოდა და თავის გუნდსაც „მიათრევდა“.

„რაც გაგვაჩნდა არსენალში, მის წინააღმდეგ ყველაფერი გამოვიყენეთ — ამბობდა ნამატჩევს „პისტონზის“ კაპიტანი ჩონსი ბილაფსი — მაგრამ ჩვენ ის ფიზიკურად ვერ გავაჩერეთ.“

ჯეიმსმა ჯერ მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე ნახევარ წუთით ადრე ლაზათიანად ჩატენა, 9 წამით ადრე ეს კიდევ უფრო მოხდენილად გააკეთა, ანგარიში 91:91 გაათანაბრა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, სადაც თავისი გუნდის 9-ვე ქულა თვითონ ჩააგდო. აქ „დეტროიტი“ ბილაფსმა იხსნა, რომელმაც სირენამდე 3 წამით ადრე წყვილი საჯარიმოებით 100:100 გახადა და ეს დრამატული თამაში კიდევ 5 წუთით გაახანგრძლივა, მაგრამ მეორე ოვერტაიმში ისტერიკამდე მისულმა მასპინძლებმა კლივლენდელ მფრინავ დინოზავრთან ვერაფერი გააწყვეს და 7:9 წააგეს.

„კლივლენდი“ მესამედაა აღმოსავლეთის ფინალში (1976, 1992), მაგრამ ასე არასდროს მიახლოვებია დიდ ფინალს. ლებრონის გუნდი 3:2 იგებს და მეექვსე მატჩს შინ თამაშობს. ეს ერთი მოგებაც და „კავალერია“ პირველად შეეჯიბრება საჩემპიონო სერიაში.

„მძიმე თამაში გვექნება შაბათს — ამბობს ლებრონი — კარგად უნდა დავისვენო. ცოტა ძნელია ასეთი თამაშის შემდეგ ფიზიკური და ემოციური ძალების სრულად აღდგენა, როცა სახლში 2 წლის ბავშვი ცელქობს და ყირაზე გადადის. მომიწევს მისი გაშვება რომელიმე ბებიასთან.“

**კოტე ყორშია**

# ჟურნალისტი პრეზიდენტად

## სტივ კერი ფინიქსს აჭრზე მოიყვანს

„ფინიქს სანზი“ ამ ეპოქაში ნბა-ს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბია, მაგრამ არიზონელებს სულ ერთი-ორი ნაბიჯი აკლდებათ მწვერვალამდე. ბოლო სამი წელია, გუნდი ჩემპიონობისკენ გამხედავთა მოკლე სიაში წერია, მაგრამ... 2005 და 2006 წლებში „ფინიქსი“ დასავლეთის ფინალში დამარცხდა, წლეულს კი მეორე რაუნდში შეწყვიტა სვლა.



ისევ და ისევ ჩემპიონობაზე მოფიქრალმა კლუბის თავებმა ბევრი ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ „სანზის“ მთავარი პრობლემა მის სათადარიგოთა სკამზე ზის. უფრო ზუსტად, პრობლემა ისაა, რომ იქ ისეთი ბევრი არავინ ზის, ვინც გუნდის ლიდერებს დაასვენებს და ხანგრძლივი სეზონის განმავლობაში დროდადრო 20-25 წუთით შეცვლის. კი, ბატონო, „ფინიქსს“ ჰყავს სეზონის საუკეთესო სათადარიგო მოთამაშე, ბრაზილიელი ლეანდრო ბარბოსა, რომელმაც აიღო კიდეც ეს პრიზი, მაგრამ ის ვერ ცვლის ზოგად სურათს. აგერ სამი წელია, „ფინიქსი“ 7, მაქსიმუმ 8 კაცის იმედზეა და ორის გამოკლება უკვე კატასტროფაა მისთვის (ასე იყო წლეულს „სან ანტონიოსთან“ მეორე რაუნდში).

შეფებმა ბევრი იფიქრეს და გადაწყვიტეს, სკამი დააგრძელონ, ოღონდ სანამ ახალ მოთამაშეებს დაიმატებდნენ, მათ ისეთი კაცი მიიყვანეს კლუბში, ვინც ნბა-ს და მის 400-მდე მოთამაშეს მოხარშულს იცნობს.

გადაწყდა, რომ „ფინიქს სანზის“ პრეზიდენტად და გენერალურ მენეჯერად დაინიშნება წარსულში ცნობილი კალათბურთელი, ამჟამად კი ტელეგიგანტ „თიენთის“ საკალათბურთო ანალიტიკოსი სტივ კერი.

ძველ ქომაგებს გეხსომებათ ეს თავთეთრა სნაიპერი. კერი 15 წელი თამაშობდა ნბა-ში და 5-გზის ჩემპიონი გახლავთ — 3-ჯერ ლეგენდარული მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოში“ იჩემპიონა (1996, 97, 98), ორჯერ კი — „სან ანტონიოში“ (1999, 2002). ამასთან, 1997 წლის ფინალში „იუტა ჯაზს“ სწორედ მან ჩაუგდო გადამწყვეტი სამქულიანი.

კალათბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ, ანუ 2003 წლიდან დღემდე, ის საკალათბურთო მიმომხილველია და შეიძლება თამამად ითქვას, დღესდღეობით საუკეთესოც კია მთელ ამერიკაში. ამიტომაც მოხდა, რომ ის სტუდიიდან პირდაპირ გადაჯდება „ფინიქსის“, ამ ბობოლა კლუბის მმართველის კაბინეტში, რაც მის ცოდნა-გამოცდილების აღიარებასა და მისდამი უდიდეს ნდობაზე მეტყველებს.

ესეც სათქმელია, რომ კერი ფესვებს უბრუნდება. მან ფინიქსში დაამთავრა არიზონას უნივერსიტეტი, რომლის ახლანდელი მწვრთნელი მისი ახლო მეგობარია. 1988 წლის დრაფტშიც სწორედ „ფინიქს სანზმა“ აირჩია და ესეც სათქმელია, რომ კლუბის მფლობელი რობერტ სარვერიც მისი უახლოესი მეგობარი გახლავთ. მეტიც, კერი კლუბის აქციათა მცირე ნაწილსაც კი ფლობს. ასე რომ, თავის დროზე ხელმასრი, ახლა კი ეს ჭკუა და ენამასრი კაცი „ფინიქსს“, უხეშად რომ ვთქვათ, აზრზე მოსვლაში დაეხმარება. „სანზის“ მწვრთნელი მაიკ დანტონი მას გადააბარებს „კაბინეტურ“ საქმეს, რომელსაც ბოლო წლებში „მოედნისპირულ“ საქმესთან ერთად ასრულებდა.

**კოტე ყორშია**

# სამთავი

**ამ დღეებში** ნბა-ს რამდენიმე გუნდს დაედგა თავი. სამმა გუნდმა — „ორლანდომ“, „ინდიანამ“ და „მემფისმა“ ახალი თავკაცები დანიშნეს.

„ინდიანას“ პრეზიდენტმა ლარი ბერდმა თავისი ძველი მეგობრის რიკ კარლაილის გაშვების შემდეგ გუნდი გამოცდილ ჯიმ ობრაიენს ჩააბარა, რომელსაც „ბოსტონსა“ და „ფილადელფიაში“ 5 სეზონი უმუშავია მთავარ მწვრთნელად (182 მოგება, 158 წაგება). მის თვალსაჩინო მიღწევად ითვლება 2002 წელს მჭლე შემადგენლობის მყოლი „ბოსტონის“ კონფერენციის ფინალში გაყვანა. და საერთოდ, ობრაიენს არასაპლეიოფო გუნდის მეპლეიოფედ მქცეველ კაცად იცნობენ, „ინდიანა“ კი 1997 წლის შემდეგ ახლა პირველად ვერ მოხვდა პლეი ოფში.

„მემფისს“ თავში ჩაუდგება აქამდე „ფინიქსის“ თავკაც მაიკ დანტონის ასისტენტად ნამუშევარი მარკ იავარონი, რომელსაც ჯერ ნბა-ს გუნდი არ გაუწვრთნია.

„ორლანდოს“ ახალ მეთაურ რიჩ დონოვანს კი გამოცდილება არ აკლია, ოღონდ ნბა-ში ის მაინც ახალი კაცია — აქამდე სტუდენტურ ლიგაში მუშაობდა და დიდად გაითქვა სახელი, როცა ფლორიდის უნივერსიტეტი ზედიზედ ორჯერ, 2006 და 2007 წლებში აჩემპიონა.

**კოტე ყორშია**

ავტორბოლა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# 20 000 000 = 1

## რალფ შუმახერმა იაპონელთა იმედები ვერ გაამართლა


AFP

**გასულ** კვირას მონაკოს „გრან პრიზე“ ტოიოტელი რალფ შუმახერის მორიგი ჩაფლავების შემდეგ, როცა ორი წრით ჩამორჩა გამარჯვებულ ფერნანდო ალონსოს და მხოლოდ მე-16 ადგილზე გავიდა, უფრო გახშირდა ხმები გუნდიდან მის გაშვებაზე.

მიმდინარე სეზონში უსუსურად მოჯირითე გერმანელი მეფორმულის „ტოიოტადან“ გაშვებაზე თვეზე მეტია, ლაპარაკობენ. აბა, რა იქნება, წლიური ჯამაგირი თითქმის 20 მილიონი დოლარი აქვს, სატურნირო ყულაბაში კი პირველ ეტაპზე მოპოვებული კინკილა ქულა უგდია. შედარებისთვის, მის პარტნიორ იარნო ტრულის, რომელსაც გაცილებით ნაკლები ხელფასი აქვს, ხუთი რბოლის შემდეგ ოთხი ქულა დაუგროვდა.

თავიდან ამბობდნენ, პატარა შუმის ბევრად ყოჩაღი თანამემამულე, „BMW-ზაუბერის“ პილოტი ნიკ ჰაიდფელდი (18 ქულა) შეცვლისო. მერე ხმა გავარდა, ტოიოტელ ბოსებს იაპონელი ტაკუმა სატო სურთო. ისე, ტაკუც სადღეისოდ ერთქულიანია. ამასთან, ეს მისი „სუპერ აგურის“ ორწლიან ისტორიაში პირველი მონაპოვარია.

გერმანულმა „ბილდმა“ გუშინწინ გაავრცელა ახალი ინფორმაცია, რომ 31 წლის შუმახერისთვის გუნდის ხელმძღვანელობას ულტიმატუმიც კი წაუყენებია, უმოკლეს ხანში ან გააუმჯობესე შედეგები, ანდა სხვა სამუშაო მოძებნეო.

არაა გამორიცხული, რომ რალფმა „ტოიოტა“ უკვე ორი-სამი რბოლის შემდეგ დატოვოს, მის ადგილს კი „სპაიკერის“ 24 წლის გერმანელი მძღოლი ადრიან სუტილი დაიკავებს. დებიუტანტ სუტილის მენეჯერმა კარლ-ჰაინც ციმერმანმა ეს ცნობა არც დაადასტურა და არც უარყო, თუმც აღნიშნა, რომ სხვა გუნდებიდან ადრიანით დაინტერესება ნამდვილად იყო, მაგრამ თავადაც და მრბოლიც „სპაიკერთან“ კონტრაქტით კმაყოფილები არიან.

„ტოიოტა მოტორის“ პრეზიდენტმა ჯონ ჰაუეტმა მაშინვე უპასუხა „ბილდის“ პუბლიკაციას — მართალია, რალფის უსახური შედეგებით შეწუხებულები ვართ, მაგრამ გუნდს მისი მოშორება კი არა, პირიქით, დახმარება სურსო:

„ყველა ეს პუბლიკაცია ყურმოკრულ ხმებზეა აგებული. ჩვენ ვმუშაობთ რალფთან და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა იგი უკეთ გრძნობდეს და აკონტროლებდეს მანქანას. ვფიქრობ, პრობლემები მალე მოგვარდება. კონტრაქტი სეზონის ბოლოს იწურება და ჩვენ შემდეგ ორი წლით გაგრძელების უფლება გვაქვს. მოლაპარაკება უკვე მიდის, მაგრამ ოფიციალურ განცხადებამდე მეტის თქმა არ შემიძლია.“

რალფ შუმახერი „ტოიოტაში“ 2005 წლიდანაა და მისი საქმეები სულ უკან-უკან მიდის. პირველ სეზონში ხუთი ეტაპის შემდეგ 14 ქულა ჰქონდა, შარშან — 7, ახლა კი — მხოლოდ ერთი. ეტყობა, იაპონური მეგაკონცერნის საპირველფორმულო საჯინიბოში ეს მისთვის მართლაც ბოლო წელი იქნება.

**გია ახალაძე**

კრივი

# სულეიმანმა ჩხუბი ბრძანა

არა და არ ასვენებს პროფესიული კრივის მესვეურთ ფლოიდ მეივეზერ-უმცროსსა და ოსკარ დე ლა ჰოიას შორის მატჩრევანშის გამართვის იდეა. მოგეხსენებათ, ერთი თვის წინ საუკუნის ბრძოლად შერაცხულმა ამ ჯახმა მთლად ვერ გაამართლა იმედები, რადგანაც ორივე მოკრივე საკმაოდ პასიური იყო და რეკლამირებული სანახაობის მაგივრად რიგითი ჩხუბი გამოვიდა. ჰოდა, იქიდან მოყოლებული არ ცხრება ხმები იმის თაობაზე, რომ მატჩრევანშის გამართვა აუცილებელია. ისე, სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგანაც ეს რევანში ძალიან მსუყე ლუკმაა ნებისმიერი პრომოუტერისთვის, საკრივო ორგანიზაციასა თუ ტელევიზიისთვის და ყველაფერი აგრე ადვილად ვერ დასრულდება.

ამჯერად WBC-ს პრეზიდენტმა, ხოსე სულეიმანმა ამოიდგა ენა და განაცხადა, რომ მისი კომპეტენტური აზრით, მატჩრევანშის ჩატარება უბრალოდ, აუცილებელია, რათა მეივეზერმა ყველას დაუმტკიცოს თავისი სიძლიერე, რომელიც, გამარჯვების მიუხედავად, თითქოსდა შეირყა მსაჯების არაერთხმოვანი გადაწყვეტილების გამო:

„რევანში უნდა შედგეს. დარწმუნებული ვარ, ფლოიდ მეივეზერი არცთუ კმაყოფილია მცირე უპირატესობით მოპოვებული გამარჯვებით. კმაყოფილი არ უნდა იყოს დე ლა ჰოიაც, რომელმაც საჩემპიონო ქამარი თანაბარ ბრძოლაში დაკარგა. ასე რომ, რევანში ორივეს უნდა აწყობდეს“.

სულეიმანი მეივეზერს განსაკუთრებით იმიტომ ელაქუცება, რომ ფლოიდმა ჯერ კიდევ დე ლა ჰოიასთან ჯახის წინ თქვა — ამ ბრძოლის მერე რინგიდან სამუდამოდ მივდივარო. ჰოდა, სულეიმანიც მეივეზერის მოთაფვლას ცდილობს, რომ ეს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს. აი, დე ლა ჰოიამ კი ბრძოლის შემდეგვე გამოთქვა რევანშის გამართვის სურვილი და „ოქროს ბიჭს“ უფრო ნაკლებად ამიტომაც ელოლიავებიან.

WBC-ს პრეზიდენტის ასეთი დაინტერესების მიზეზი უფრო გასაგები გახდება, როცა შეიტყობთ, რომ მოკრივეებს საკუთარი ჰონორარის 3 პროცენტის გადახდა მოუწევთ ამ ორგანიზაციისთვის, რათა ეს ბრძოლა საჩემპიონოდ გამოცხადდეს. ხოლო რადგანაც ერთი თვის წინანდელი ჯახის დროს მეივეზერმა და დე ლა ჰოიამ ერთად 33 მილიონი გამოიმუშავეს, WBC-ს პირადი ანგარიში 1 მილიონით შეივსო.

**კახა ლომაყმილი**

ჭადრაკი

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ელისტა. რუსეთი. 26 მაისი – 14 ივნისი. პირველი ეტაპი

IV ტური

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0 (2,5:1,5) | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| მიხაილ გურევიჩი (თურქეთი) | 0:1 (0,5:3,5) | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 0,5:0,5 (2:2) | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) | 0,5:0,5 (2,5:1,5) | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) |
| ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) | 0:1 (0,5:3,5) | გატა კამსკი (აშშ) |
| ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი) | 0:1 (1:3) | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 1:0 (3:1) | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0:1 (1,5:2,5) | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |

# ლეკომ და კრამსკიმ ოთხი იკმარეს

**მეოთხე ტურში** გატა კამსკიმ და პეტერ ლეკომ შავი ფიგურებით თავ-თავიანთი მეტოქეები დაამარცხეს და მომდევნო ეტაპზე გააღწიეს. დარჩენილ შეხვედრებს მათთვის უკვე აზრი დაეკარგა და ორივე დიდოსტატი ახლა შემდგომ მეტოქეებზე ფიქრობს.

ლეკომ გურევიჩთან პარტიაში ნიმცოვიჩის დაცვა გაითამაშა, დებიუტშივე განავითარა ფიგურები და ლაზიერის მხრიდან მხედრებით შეუტია. თავიდან გურევიჩმა შეძლო უნგრელის შეკავება, თუმც პოზიციებზე კონტროლი დაკარგა და მეორმოცე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

საინტერესო გამოდგა ბაკრო-კამსკის დაპირისპირებაც. ფრანგი 39 სვლა გაუძალიანდა ამერიკელს, პაიკებით ცენტრში დიდი კედელიც დაუყენა, თუმც ვერაფერს გახდა და დანებდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

ველორბოლა

## Giro d'Italia 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი


იბან მაიო

AFP

### მე-18 ეტაპი. უდინე-რიესე პიო ჩ. 203 კმ

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი“) | 4 სთ 32 წთ 51 წმ |
| 2. აქსელ მაქსიმილიან რიჩეზე (არგენტინა, „პანარია“) | |
| 3. მატი ბრეშელი (დანია, CSC) | |
| 4. ტომას ფოლტენი (გერმანია, „გეროლშტაინეზი“) | |
| 5. ოსკარ გატო (იტალია, „გეროლშტაინერი“) | *ყველას იგივე დრო* |

### მე-19 ეტაპი. ტრევიზო-კომანო ტერმე. 179 კმ

| | |
|---|---|
| 1. იბან მაიო (ესპანეთი, „სონი დიუვალი“) | 4 სთ 34 წთ 49 წმ |
| 2. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, „ქვიკ სტეპი“) | +43 წმ |
| 3. მარკო მარზანო (იტალია, „ლამპრე“) | +1 წთ 04 წმ |
| 4. მიხაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი“) | +1წთ 08 წმ |
| 5. ევგენი პეტროვი (რუსეთი, „ტინკოფი“) | +1წთ 08წმ |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი“) | 86 სთ 46 წთ 28 წმ |
| 2. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +2 წთ 24 წმ |
| 3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუვალი“) | +2 წთ 28 წმ |
| 4. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) | +3 წთ 29 წმ |
| 5. ედი მაცოლენი (იტალია, „ასტანა“) | +3 წთ 46 წმ |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge